

აბასთუმნის  
ასტროფიზიკური ობსერვატორია

LXII

ასტრონომიული  
კალენდარი  
(ნელინდაული)

2022



ინტელექტი  
თბილისი – 2021

ასტრონომიული კალენდარი გამოიცემა 1961 წლიდან.

1961-2008 წლებში მას ერთობლივად გამოსცემდა ე. ხარაძის სახელობის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია და ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2009-2020 წლების ასტრონომიული კალენდრები გამოსცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

**შემდგენელი:**

ე. ხარაძის სახელობის ეროვნული ასტროფიზიკური  
ობსერვატორია

**სარედაქციო კოლეგია:**

შ. საბაშვილი (პ/მგ. რედაქტორი)

გ. რამიშვილი ა. როგავა

ნ. საბაშვილი ე. ჯანიაშვილი

**ISSN 0134-9856**

**ISBN 978-9941-9117-7-4**

## სამოცდაპორა გამოცაქისათვის

ასტრონომიული კალენდარი (წელიწდეული) მოიცავს ყველა უმთავრეს ცნობას, რომელიც, ჩვეულებრივ, ამგვარ ცნობარებში მოიპოვება. ესენია: მზის, მთვარისა და პლანეტების ამოსვლა-ჩასვლის წინასწარ გამოთვლილი მომენტები მთელი წლისათვის, მათი მდებარეობა ცაზე, მთვარის ფაზები, მზისა და მთვარის დაბნელებანი, კომეტებისა და მეტეორული ნაკადების გამოჩენა, დროის სააღრიცხვო და გარემოში ორიენტირებისათვის საჭირო მონაცემები და სხვადასხვა ციური მოვლენების დაკვირვებასთან დაკავშირებული ცნობები. კალენდრის შესავალ ნაწილში – „როგორ ვისარგებლოთ კალენდრით“ – მკითხველი ყველა აუცილებელ განმარტებას იპოვის.

გამოთვლებების ძირითადი ნაწილი შესრულებულია აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლების გ. რამიშვილის, ნ. საბაშვილის და ე. ჯანიაშვილის მიერ. კალენდარს თან ერთვის რამდენიმე სამეცნიერო-პოპულარული წერილიც.

ტექსტის კომპიუტერზე აწყობა განახორციელა ვ. საბაშვილმა. ხელნაწერი მოამზადა და საბოლოო კორექტურა შეასრულა ნ. საბაშვილმა.

შ. საბაშვილი  
2021 წ.

2022

**წლის დროების დასაწყისი**  
**(თბილისის საშუალო დროით)**

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი	–	20 მარტი	18 <sup>h</sup> 33 <sup>m</sup>
ზ ა ფ ხ უ ლ ი	–	21 ივნისი	12 <sup>h</sup> 15 <sup>m</sup>
შ ე მ ო დ გ ო მ ა	–	23 სექტემბერი	4 <sup>h</sup> 04 <sup>m</sup>
ზ ა მ თ ა რ ი	–	22 დეკემბერი	0 <sup>h</sup> 47 <sup>m</sup>

დგკრეტულ დროზე გადასასვლელად თბილისის საშუალო დროს უნდა დაემატოს 1 საათი და 1 წუთი.

საქართველოს ტერიტორია ვრცელდება აღმოსავლეთის გრძედით 40°.0-დან 46°.7-მდე, ჩრდილოეთის განედით 41°.1-დან 43°.6-მდე.

ზოგიერთი ქალაქის ბიობრაზიული კოორდინატები

ქალაქი	გრძედი	განედი	ქალაქი	გრძედი	ანედი
	o	o		o	o
აბასთუმანი	42.8	41.8	ლაგოდეხი	46.3	41.8
ახალქალაქი	43.5	41.4	მესტია	42.7	43.1
ახალციხე	43.0	41.6	ოზურგეთი	42.0	41.9
ბათუმი	41.6	41.6	სამტრედია	42.3	42.2
ბოლნისი	44.5	41.4	საჩხერე	43.4	42.4
ბორჯომი	43.4	41.8	სოხუმი	41.0	43.0
გორი	44.1	42.0	ფოთი	41.7	42.1
ღუშეთი	44.7	42.1	ქუთაისი	42.7	42.3
ზუგდიდი	41.9	42.5	ყაზბეგი	44.6	42.6
თბილისი	44.8	41.7	ცხინვალი	44.0	42.2
თელავი	45.5	41.9	ხაშური	43.6	42.0




# ტაბულ-კალენდარი

## 2022

	იანვარი					თებერვალი				მარტი				
ორშაბათი	3	10	17	24	31	7	14	21	28	7	14	21	28	
სამშაბათი	4	11	18	25		1	8	15	22	1	8	15	22	
ოთხშაბათი	5	12	19	26		2	9	16	23	2	9	16	23	
ხუთშაბათი	6	13	20	27		3	10	17	24	3	10	17	24	
პარასკევი	7	14	21	28		4	11	18	25	4	11	18	25	
შაბათი	1	8	15	22	29	5	12	19	26	5	12	19	26	
კვირა	2	9	16	23	30	6	13	20	27	6	13	20	27	
		აპრილი					მაისი				ივნისი			
ორშაბათი	4	11	18	25		2	9	16	23	30	6	13	20	27
სამშაბათი	5	12	19	26		3	10	17	24	31	7	14	21	28
ოთხშაბათი	6	13	20	27		4	11	18	25		1	8	15	22
ხუთშაბათი	7	14	21	28		5	12	19	26		2	9	16	23
პარასკევი	1	8	15	22	29	6	13	20	27		3	10	17	24
შაბათი	2	9	16	23	30	7	14	21	28		4	11	18	25
კვირა	3	10	17	24		1	8	15	22	29	5	12	19	26
		ივლისი					აგვისტო				სექტემბერი			
ორშაბათი	4	11	18	25		1	8	15	22	29	5	12	19	26
სამშაბათი	5	12	19	26		2	9	16	23	30	6	13	20	27
ოთხშაბათი	6	13	20	27		3	10	17	24	31	7	14	21	28
ხუთშაბათი	7	14	21	28		4	11	18	25		1	8	15	22
პარასკევი	1	8	15	22	29	5	12	19	26		2	9	16	23
შაბათი	2	9	16	23	30	6	13	20	27		3	10	17	24
კვირა	3	10	17	24	31	7	14	21	28		4	11	18	25
		ოქტომბერი					ნოემბერი				დეკემბერი			
ორშაბათი	3	10	17	24	31	7	14	21	28		5	12	19	26
სამშაბათი	4	11	18	25		1	8	15	22	29	6	13	20	27
ოთხშაბათი	5	12	19	26		2	9	16	23	30	7	14	21	28
ხუთშაბათი	6	13	20	27		3	10	17	24		1	8	15	22
პარასკევი	7	14	21	28		4	11	18	25		2	9	16	23
შაბათი	1	8	15	22	29	5	12	19	26		3	10	17	24
კვირა	2	9	16	23	30	6	13	20	27		4	11	18	25

საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, ამიერიდან დაკანონებულია ქვემოთ ჩამოთვლილი უქმე დღეები, რომლებშიც საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ: 1 და 2 იანვარს – ახალი წლის სადღესასწაულო დღეებში; 7 იანვარს – ქრისტეშობის დღეს; 19 იანვარს – ნათლისღებას; 3 მარტს – დედის დღეს; 8 მარტს – ქალთა საერთაშორისო დღეს; 9 აპრილს – სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღეს; საადგომო დღეებში – დიდ პარასკევს, დიდ შაბათს, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს; მიცვალებულთა მოხსენიების დღეს – აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს (თარიღები გარდამავალია); 9 მაისს – ფაშიზმზე გამარჯვების დღეს; 12 მაისს – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღეს; 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს; 28 აგვისტოს – ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას); 14 ოქტომბერს – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღეს; 23 ნოემბერს – გიორგობის დღეს.

### ასტრონომიული ნიშნები და აღნიშვნები

 მზე	☿ შემოდგომის დღელმეტოლოზის (ზუნიობის) წერტილი
☾ მთვარე	E აღმოსავლეთის წერტილი
♄ მერკური	SE სამხრეთ-აღმოსავლეთი
♀ ვენერა	S სამხრეთის წერტილი
♁ დედამიწა	SW სამხრეთ-დასავლეთი
♂ მარსი	W დასავლეთის წერტილი
♃ იუპიტერი	NW ჩრდილო-დასავლეთი
♄ ხატურნი	N ჩრდილოეთის წერტილი
 ურანი	
 ნეპტუნი	
● ახალმთვარეობა	NE ჩრდილო-აღმოსავლეთი
☾ მთვარის პირველი მეოთხედი	a წელიწადი
○ საესემთვარეობა	d დღე-ღამე
☾ მთვარის უკანასკნელი მეოთხედი	h საათი
Z ზენიტური მანძილი	m წუთი ანუ მინუტი
A აზიმუტი	s წამი ანუ სეკუნდი
φ გეოგრაფიული განედი	o გრადუსი
λ გეოგრაფიული გრძედი	‘ წუთი (რკალისა)
α პირდაპირი აღლუნა	“ წამი (რკალისა)
δ დახრილობა	
☾ გაზაფხულის დღელმეტოლოზის (ზუნიობის) წერტილი	

## ბერძნული ანბანი

Α, α ალფა	Η, η ეტა	Ν, ν ნიუ	Τ, τ ტაუ
Β, β ბეტა	Θ, θ თეტა	Ξ, ξ ქსი	Υ, υ იპსილონ
Γ, γ გამა	Ι, ι იოტა	Ο, ο ომიკრონ	Φ, φ ფი
Δ, δ დელტა	Κ, κ კაპა	Π, π პი	Χ, χ ხი
Ε, ε ეფსილონ	Λ, λ ლამბდა	Ρ, ρ რო	Ψ, ψ ფსი
Ζ, ζ ძეტა	Μ, μ მიუ	Σ, σ სიგმა	Ω, ω ომეგა

### როგორ ვისარგებლოთ კალენდრით

კალენდარში, სხვა ცნობებთან ერთად, მოცემულია მზის, მთვარის და პლანეტების კოორდინატები და სხვა სიდიდეები დროის ფიქსირებული მომენტებისათვის. ეს მომენტები უმთავრესად წარმოადგენენ ყოველი დღე-ღამის დასაწყისთა მიმდევრობას; ნელაცვალებადი სიდიდეებისთვის (პლანეტათა კოორდინატები) მომენტები აღებულია ყოველ მე-7 დღე-ღამეზე. ასე აღებული მომენტები წარმოადგენენ ცხრილების არგუმენტებს, განსაზღვრავენ ცხრილების ინტერვალებს და საშუალებას გვაძლევენ ვიპოვოთ აღნიშნული ცვალებადი სიდიდეების მნიშვნელობები წლის ნებისმიერი დღისთვის და ნებისმიერი მომენტისთვის ინტერპოლაციის წესით.

### დროის აღრიცხვის შესახებ

კალენდარში რიგი მოვლენებისა მოცემულია თბილისის საშუალო დროით, ზოგი – მსოფლიო დროით, ე.წ. დედამიწის დინამიკური ან ვარსკვლავიერი დროით. ხშირად პრაქტიკული ასტრონომიის ამოცანების გადაწყვეტისას მოითხოვება ერთი სისტემის დროის გადაყვანა მეორე სისტემის დროში, ამიტომ, მოკლედ გავეცნოთ დროის აღრიცხვისა და დროს სხვადასხვა სახეობათა ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთ საკითხს.

დროის მუდმივი ერთეული, რომელსაც თვით ბუნება იძლევა, ვარსკვლავიერი დღე-ღამეა ანუ დროის ის ხანგრძლივობა, რომელშიაც ხდება დედამიწის ერთი სრული შემობრუნება თავისი ღერძის გარშემო. ეს შემობრუნება განისაზღვრება გაზაფხულის

ბუნიობის წერტილის მიმართ, რომლის ზედა კულმინაცია ვარსკვლავიერი დღე-ღამის დასაწყისად მიიღება.

**მაშასადამე, ვარსკვლავიერი დღე-ღამე დროის ის ინტერვალია, რომელიც გაივლის გაზაფხულის ბუნიობის წერტილის ორ თანმიმდევრო ზედა კულმინაციას შორის.** ვარსკვლავიერი დღე-ღამის დასაწყისიდან მოცემულ მომენტამდე განვლილ დროს, გამოხატულს ვარსკვლავიერი საათებით, წუთებით და წამებით, ეწოდება ვარსკვლავიერი დრო.

მოცემულ მომენტში ზედა კულმინაციაში მყოფი ვარსკვლავის პირდაპირი აღვლენა ეტოლება ვარსკვლავიერ დროს. ამის გამო ცის მერიდიანზე ისეთი ვარსკვლავის გავლის მომენტის ასტრონომიული დაკვირვებით დადგენა, რომლის პირდაპირი აღვლენა ცნობილია, წარმოადგენს პირველწყაროს ზუსტი დროის მისაღებად.

ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა კავშირშია მზის ამოსვლა-ჩასვლასთან, მის დღელამურ და წლიურ მოძრაობასთან. ცხადია, დრო უნდა იზომებოდეს მზის მიხედვით. მზე თავისი ხილული წლიური მოძრაობისას ვარსკვლავიერ ცაზე ერთ დღე-ღამეში გადაადგილდება აღმოსავლეთისკენ დაახლოებით 1°-ით. ამის გამო მზე, ვარსკვლავებთან შედარებით, კულმინაციას აგვიანებს ყოველდღიურად დაახლოებით 4 წუთით. მზის ცენტრის ორ თანმიმდევრო ზედა კულმინაციას შორის დროის ხანგრძლივობას ეწოდება ჭეშმარიტი მზისიერი დღე-ღამე და იგი 4 ვარსკვლავიერი წუთით უფრო გრძელია ვარსკვლავიერ დღე-ღამეზე. ვარსკვლავებისა და მზის კულმინაციის მომენტთა შორის სხვაობა ყოველდღიურად იკრიბება და ერთ წელიწადში ნაზრდი ერთ დღე-ღამეს გაუტოლდება.

მზის ხილული წლიური მოძრაობა ვარსკვლავიერ ცაზე უთანაბროა, ამიტომ ჭეშმარიტი დღე-ღამის სიდიდე არ არის მუდმივი. იგი მცირედ, მაგრამ მაინც იცვლება წლის განმავლობაში და თანაბრად მომუშავე საათს არ შეუძლია სწორად გვიჩვენოს ჭეშმარიტი დრო. მიზანშეწონილია დრო ავითვალთ ისეთი წარმოსახვითი წერტილით (ე.წ. „საშუალო მზე“), რომელიც, ჭეშმარიტი მზისაგან განსხვავებით, მოძრაობს არა ეკლიპტიკაზე, არამედ ცის ეკვატორზე, ამასთან თანაბრად, და ვარსკვლავიერი ცის სრულ გარშემოვლას უნდება ზუსტად იმდენ ხანს, რამდენსაც ჭეშმარიტი მზე.

**დროის ინტერვალს საშუალო მზის ორ ქვედა თანმიმდევრო კულმინაციას შორის ეწოდება საშუალო დღე-ღამე.**



კალენდარში საშუალო დღე-ღამის დასაწყისად მიღებულია საშუალო შუაღამე - სამოქალაქო დღე-ღამის დასაწყისი, ე.ი. ის მომენტი, როცა საშუალო მზე იმყოფება ქვედა კულმინაციაში.

საშუალო დღე-ღამის ხანგრძლივობა მუდმივი ინტერვალია და ის მიღებულია დროის ძირითად საზომ ერთეულად. დიდი პერიოდის გასაზომად მოხერხებულია ტროპიკული წელიწად-დროის ინტერვალი ჭეშმარიტი მზის ცენტრის ორ თანმიმდევნო გავლას შორის გაზაფხულის ბუნიობის წერტილზე.

სამოქალაქო წელთაღრიცხვის საფუძველს ტროპიკული წელიწადი წარმოადგენს, რომელიც  $366.2422$  ვარსკვლავიერ ან  $365.2422$  საშუალო დღე-ღამეს შეიცავს. აქედან ერთი საშუალო დღე-ღამე უდრის  $366.2422/365.2422=1.002738$  ვარსკვლავიერ დღე-ღამეს, ანუ  $24^{\text{h}}03^{\text{m}}56^{\text{s}}.5555$ -ს ვარსკვლავიერი დროით. ერთი ვარსკვლავიერი დღე-ღამე არის  $365.2422/366.2422=0.997270$  საშუალო დღე-ღამე, ანუ  $23^{\text{h}}56^{\text{m}}04^{\text{s}}.091$  საშუალო დროით.

ასეთი დამოკიდებულება საშუალებას გვაძლევს ვარსკვლავიერი დროის ნებისმიერი ინტერვალი გადავიყვანოთ საშუალო დროის ერთეულებში და პირიქით. ამ დამოკიდებულებათა საფუძველზე შედგენილია გადასაყვანი ცხრილები (გვ. 102-103).

როცა ჩვენთან შუადღეა, მაშინ დედამიწის ზედაპირის მოპირდაპირე მხარეზე შუაღამეა. მაშასადამე, სხვადასხვა პუნქტის მერიდიანზე ერთ აბსოლუტურ მომენტში სხვადასხვა დროა და ამავე მომენტში ადგილობრივ დროთა სხვაობა ტოლია ამ პუნქტების გეოგრაფიულ გრძედთა სხვაობისა. ამგვარად, თუ დედამიწის ორი პუნქტი არ ძეგს ერთ მერიდიანზე, მაშინ ყოველ მათგანზე იქნება თავისი განსაკუთრებული დრო.

**დედამიწის ზედაპირზე მოცემული პუნქტის დროს ეწოდება ამ პუნქტის ადგილობრივი დრო.** მაგალითად: თბილისის, სანკტ-პეტერბურგის, მოსკოვის, გრინვიჩის და სხვათა ადგილობრივი დრო.

გრინვიჩში გამავალი მერიდიანი, საერთაშორისო შეთანხმებით, მიღებულია საწყის ანუ ნულოვან მერიდიანად გეოგრაფიული გრძედის ათვლისას და ამ მერიდიანის საშუალო დროს ეწოდება მსოფლიო დრო.

1986 წლიდან ხილული გეოცენტრული ეფემერიდების ძირითად არგუმენტად, ადრე ხმარებული არგუმენტის- „ეფემერიდული დროის“ ნაცვლად, შემოდებულია არგუმენტი „დედამიწის დინამიკური დრო“. დროის ამ ახალი სკალის ნულ-პუნქტი არის 1977 1,0003725 იანვარი საერთაშორისო ატომური დროით 1977,

1<sup>00</sup>h00<sup>00</sup> იანვრის მომენტში. ამ სკალაში დროის ერთეულია დღე-ღამე, რომელიც შეიცავს ვარსკვლავიერი დროის 86 400 წამს საშ. ზღვის დონეზე.

განსხვავება დედამიწის დინამიკურსა და მსოფლიო დროს შორის ცვალებადობს დროის მსვლელობაში, მაგრამ საერთოდ, ჩვენს ეპოქაში ეს განსხვავება ერთობ მცირეა, ამის გამო დედამიწის დინამიკური დროის არგუმენტით გამოთვლილი ციურ სხეულთა კოორდინატების რიცხვითი მნიშვნელობები ან სხვა მონაცემები იმ მონაცემებთან შედარებით, რაც მსოფლიო დროის არგუმენტითაა მიღებული, იმდენად მცირედ განსხვავდება, რომ მარტივი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას უმრავლეს შემთხვევაში ეს განსხვავება უგულვებელსაყოფია.

საშუალო ადგილობრივი დროით სარგებლობა ყოველდღიურ ცხოვრებაში მოუხერხებელია, რადგანაც სხვადასხვა გეოგრაფიული გრძედის მქონე ყოველ ორ პუნქტში სხვადასხვა ადგილობრივი დროა. ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად შემოიღეს ზოლური დრო. დედამიწის მთელი ზედაპირი დაიყო მერიდიანებით 24 ზოლად, ნულოვანიდან ოცდამესამემდე.

გრინვიჩის მერიდიანიდან დასავლეთით 7<sup>o</sup>.5-ით და აღმოსავლეთით 7<sup>o</sup>.5-ით დაშორებულ მერიდიანთა შორის მოთავსებული ზოლი მიღებულია ნულოვან ზოლად.

პირველი ზოლი ვრცელდება 7.5 გრძედის მქონე მერიდიანიდან 22<sup>o</sup>.5 გრძედის მქონე მერიდიანამდე, მეორე – 22<sup>o</sup>.5-დან 37<sup>o</sup>.5-მდე და ა. შ. თითოეულ ზოლში მოქცეულ ყოველ პუნქტში მიღებულია ამ ზოლის ცენტრალური, შუაზე გამავალი მერიდიანის საშუალო დრო.

როგორც ჩანს, მოსაზღვრე ზოლთა ცენტრალური მერიდიანების მდებარეობა ერთიმეორისაგან 15<sup>o</sup>-ით განსხვავდება, ამიტომ ორ მეზობელ ზოლში საათის მანქანებელი ისარი განსხვავებას გვიჩვენებს ერთი საათით. მაგალითად, თუ გრინვიჩში (ნულოვან ზოლში) 9 საათია, ამ მომენტში პირველ ზოლში 10 საათია, მეორეში – 11 საათი და ა. შ.

ზოლების საზღვრები ყველგან როდი მიჰყვება მკაცრად მერიდიანებს. თუ სასაზღვრო მერიდიანი ქალაქს ან ერთგვარ ეკონომიკურ რაიონს კვეთს, მაშინ იმისთვის, რომ ერთსა და იმავე ქალაქში ან რაიონში სხვადასხვა დრო არ იხმარებოდეს, ზოლის საზღვარს მერიდიანიდან მოაშორებენ და ქალაქის ან რაიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ საზღვარს გააყოლებენ.

საბჭოთა კავშირში 1930 წელს გამოიცა დეკრეტი ზოლურ დროსთან შედარებით საათის ისრის ხელოვნურად ერთი საათით წინ გადაწევის შესახებ.

ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრების შედარებით ადრე დაწყება, რაც გამოიწვევდა დღის ნათელი პერიოდის გამოყენებას და ამით ერთგვარ ეკონომიკურ მოგებას ენერჯის წყაროების დაზოგვის თვალსაზრისით. ასე განსაზღვრულ დროს **დეკრეტული დრო ეწოდება.**

დეკრეტული დრო ხელოვნურადაა წინ წაწეული მზის მოძრაობაზე დამყარებულ დროსთან შედარებით და, როგორც გამოირკვა, მისით სარგებლობა უარყოფით ბიოლოგიურ ზემოქმედებებს იწვევს. ამას გარდა, საეჭვოა თვით რეფორმის ეკონომიკური ეფექტურობაც, რადგან ზომიერ სარტყელშიც კი და კერძოდ, საქართველოში, რომ აღარაფერი ითქვას ჩრდილოეთის რაიონებზე, სადაც ზამთრის დღეები უაღრესად მოკლეა, წელიწადის საკმაოდ საგრძნობ პერიოდში დღის განათებული ნაწილი მნიშვნელოვნად ხანმოკლეა, ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური პერიოდის ხანგრძლივობა. მაშასადამე დღის საკმაოდ დიდ ნაწილში ცხოვრება მაინც გვიწევს ხელოვნური განათების პირობებში, რის გამო მოგება აქტიური ცხოვრების დილით ადრე დაწყების გამო ნეიტრალდება მისი გვიან დამით დამთავრებით. ამას გარდა, კიდევ რომ ეფექტური იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების დაწყების პერიოდული ცვლილებები, იგი შეიძლება უმტკივნეულოდ განხორციელდეს სამუშაოს თუ სწავლის დაწყების საათის ოპერატიული ცვლილებებით, დროის ათვლის პრინციპის დაურღვევლად და საათის ისრის გაუმართლებელი გადაწევის გარეშე, რასაც უარყოფითი შედეგი მოაქვს სხვა მხრივაც – რთულდება დროის აღრიცხვა და წარსულის ამა თუ იმ ეპოქაში მომხდარ მოვლენათა მომენტების ფიზიკური დღე-ღამის დასაწყისის მიმართ ჭეშმარიტი განლაგების გამოთვლა, აგრეთვე სხვადასხვა წლების კალენდართა ურთიერთშესაბამისობის აღდგენა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ 1990 წლის 20 ივნისს გააუქმა საქართველოს ტერიტორიაზე დეკრეტული დრო. 1994 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა, თითქოსდა ეკონომიკური მოსაზრებით, დეკრეტული დრო დროებით აღადგინა. 1998 წლის 29 მარტიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით დეკრეტული დრო საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ გაუქმდა, მაგრამ იმავე წლის 14

ნოემბრიდან, მოსახლეობის ნაწილის ინტერესთა გათვალისწინებით, ისევე აღდგა.

მაგრამ საფიქრებელი იყო – და ამას განუწყვეტლივ ითხოვდა ასტრონომიული საზოგადოებრიობაც – რომ ბუნებრივი დრო ოდესმე მაინც აღდგებოდა, რადგან იგი ყველაზე მეტად შეესაბამება ნებისმიერი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას და, ამდენად, ყველაზე უკეთ შეესატყვისება ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ოპტიმალურად წარმართვასაც როგორც სახელმწიფოს ფარგლებში, ისე საერთაშორისო მასშტაბებშიც ქვეყნებს შორის სულ უფრო მზარდ კავშირთა გათვალისწინებით. ერთი შეხედვით სწორედ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა, რომლის N 177 ბრძანებით 2004 წლის 27 ივნისის ღამის 3 საათიდან საქართველოს ტერიტორიაზე საათის ისრები 1 საათით უკან გადასწიეს. შეიძლება ბოდა გეგეფიქრა, რომ დეკრეტული დრო გაუქმდა, საფიქრებელი იყო – საბოლოოდ. მაგრამ 2005 წლის 30 ოქტომბერს ახალი ბრძანებით აღარ განხორციელდა ამ მომენტი საათის წინასწარ გათვალისწინებული საათის ისრის ერთი საათით უკან გადაწევა (იხ. ქვემოთ), ამჯერადაც ენერჯის დაზოგვის მოსაზრებათა მოშველიებით. ეს კი დეკრეტული დროის აღდგენის ტოლფასი იყო. როგორც ვხედავთ, დროის აღრიცხვის სფეროში არცთუ გამართლებული ექსპერიმენტები გრძელდება.

ანალოგიური ვითარებაა ე.წ. სეზონური დროების საკითხშიც, რომლის არსი ისაა, რომ წელიწადის სხვადასხვა სეზონში საათის ისრები რიგრიგობით იწევა ხან წინ, ხან უკან. ამ მხრივ მიღწეული ეკონომიკური ეფექტიც ისევე საეჭვოა, როგორც დეკრეტული დროის ზემოგანხილულ შემთხვევაში, და იგი არასოდეს არც ერთ ქვეყანაში ზუსტად არ დაუთვლიათ. ვერც შეძლებდნენ დათვლას, რადგან საათის ისრების წამდაუწუმ გადაწევის თანხლები ფსიქოლოგიური დისკომფორტის უარყოფითი შედეგები უზარმაზარი კია, მაგრამ ძნელია ისინი რიცხვებით გამოიხატოს. ამდენად, საათის ისრის სეზონური გადაწევა-გადმოწევა უარყოფით მოვლენად მიგვანჩნია. მაგრამ იგი შეთანხმებულად ხდება მსოფლიოს ქვეყნების საკმაოდ დიდ ჯგუფში და იქ დღემდე ძალაშია ხან ე.წ. ზამთრის, ხან კი ზაფხულის დრო. საქართველოშიც მრავალი წლის განმავლობაში მოქმედებდა წესი: ყოველი წლის მარტის თვის ბოლო კვირადღის ღამის 2 საათიდან საათის ისარი გადაიწეოდა ერთი საათით წინ, ხოლო ოქტომბრის თვის ბოლო კვირადღის ღამის 3 საათიდან – ერთი საათით უკან. ეს თითქოსდა საშუალებ

ბას გვაძლევდა უფრო მეტად გამოგვეყენებინა დღე-ღამის ნათელი ნაწილი, რითაც დაიზოგებოდა ენერგეტიკული რესურსები. თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა სამუშაო დროის რეგულირება საათის ისრების გადაწვევის გარეშე. ძნელი განსაჭვრეტი იყო, რომელ სტრატეგიას აირჩევდა საქართველოს მთავრობა ამ მიმართულე-ბით შემდგომში. მოხდა კი ის, რომ ამ საკითხს დღემდე აღარავინ დაბრუნებია. არსებული ვითარება იმას ნიშნავს, რომ 2004 წლის 27 ივნისის ღამის 3 საათიდან საქართველოში საზაფხულო დრო გაუქმებულია და მთელი წლის განმავლობაში ვიყენებთ ზოლურ-თან შედარებით 1 საათით წინ წაწეულ დროს.

შემოვიღოთ აღნიშვნები:

**s** – ადგილობრივი ვარსკვლავიერი დრო.

**s<sub>0</sub>** – თბილისის ვარსკვლავიერი დრო 0<sup>h</sup>-ზე (შუალამეზე).

**S** – გრინვიჩის ვარსკვლავიერი დრო 0<sup>h</sup>-ზე (შუალამეზე).

**M** – მსოფლიო დრო.

**n** – ადგილობრივი საშუალო დრო.

**D** – დეკრეტული დრო.

**N** – ზოლის ნომერი (საქართველო III ზოლშია).

**λ** – ადგილის გრძედი.

**n<sub>0</sub>** – თბილისის საშუალო დრო.

საქართველოს ტერიტორიისათვის გვექნება შემდეგი და-  
მოკიდებულებანი:

**I**    **D=M+N+1=M+4<sup>h</sup>**

**II**   **D=n+4<sup>h</sup>-λ<sup>h</sup>**

**III**   **n=M+λ<sup>h</sup>**

**IV**   **n=D-4<sup>h</sup>+λ<sup>h</sup>**

**V**    **n<sub>0</sub>=D-1<sup>h</sup>**

რივი მოსაზრებების გამო კალენდრის სხვადასხვა წლების გამოშვებათა ცხრილებში ნახმარია ერთგან ერთგვარი, სხვაგან-სხვაგვარი დრო: მსოფლიო, დედამიწის დინამიკური, ადგილო-ბრივი, თბილისის საშუალო და სხვ, რაც სათანადო ადგილებში აღნიშნულია. მკითხველი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყროს ამ საკითხს, რათა ყოველთვის სწორად დაუკავშიროს სათანადო მოვლენა თუ მონაცემი დროს და მოახერხოს კიდევ მისი მიყვანა იმ დრომდე, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრე-ბაში ვხმარობთ. გვახსოვდეს, რომ საინფორმაციო გამოშვებე-ბში ნახსენები და, კერძოდ, რადიოთი გადმოცემული „მოსკოვის დრო“ იგივეა, რაც II ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დეკრე-

ტული დრო (ე. წ. „ზამთრის“ სეზონში), ან ამავე მერიდიანის დეკრეტული პლუს ზაფხულის დრო (ე.წ. „ზაფხულის“ სეზონში). იმავე გამოცემებში ნახსენები „თბილისის დრო“ კი ქვეყანაში დეკრეტული დროის მოქმედების პერიოდებში წარმოადგენდა (მაშასადამე, ამჟამადაც წარმოადგენს) III ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დეკრეტულ დროს („ზამთრის“ სეზონში), ან ამავე მერიდიანის დეკრეტულ პლუს ზაფხულის დროს („ზაფხულის“ სეზონში, თუ საათის საგაზაფხულო წინწაწვევა ხორციელდებოდა), დეკრეტული დროის გაუქმებულობის პერიოდებში კი „თბილისის დრო“ უბრალოდ ემთხვეოდა III ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დროს („ზამთრის სეზონში“) ან ერთი საათით წინ იყო მასზე („ზაფხულის სეზონში“). ამჟამად კი „თბილისის დრო“ მთელი წლის მანძილზე 1 საათით უსწრებს III ზოლის შუა მერიდიანის ადგილობრივ საშუალო დროს. უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, დეკრეტული და საზაფხულო დროების ერთდროული მოქმედების პირობებში თბილისში შუადღე „ზამთრის სეზონში“ დგებოდა „თბილისის დროით“ 13, „ზაფხულის სეზონში“ კი 14 საათზე. ამჟამად კი ჩვენს ქვეყანაში შუადღე მთელი წლის განმავლობაში თბილისის დროით 13 საათზე დგება.

ვიმეორებთ, 2004 წლის 27 ივნისის შემდეგ საათის ისრის სეზონური წინ და უკან გადაწვევა შეწყვეტილია. ეს სიტუაცია შეიძლება განვიხილოთ ან როგორც დეკრეტული დროის არსებობა, მთელი წლის მანძილზე „ზამთრის“ დროის ფორმით, ან, როგორც დეკრეტული დროის გაუქმებულობა, მაგრამ მთელი წლის მანძილზე „ზაფხულის“ დროის მოქმედებით. ეს მხოლოდ ინტერპრეტაციის საკითხია. დეკრეტული და სეზონური დროების მიმართ საკუთარი პოზიცია მთავრობას აშკარა ფორმით ჯერაც არ გამოუხატავს, ამიტომ არაა ცხადი, საბოლოოა თუ არა არსებული მდგომარეობა. ის კი ევროპის ქვეყნებში არსებულისგან განსხვავებულია.

## შეჯ

**(გვ. 22-45).** ლუწ გვერდებზე III, IV, V სვეტებში 41°, 42° და 43° გეოგრაფიული განედის მქონე პუნქტებისათვის მოცემულია მზის ამოსვლის, ხოლო VII, VIII, IX სვეტებში კი ჩასვლის მომენტები ამ პუნქტების საშუალო დროით. მზის ამოსვლის და ჩასვლის მომენტებად ითვლება მისი დისკოს ზედა კიდის ამოსვლისა და ჩასვლის მომენტები ჭეშმარიტ პორიზონტზე. ადგილის რეალური პორიზონტი ყოველთვის განსხვავდება ჭეშმარიტისაგან და, მასა-

სადამე, მოცემულ ადგილას ამოსვლა-ჩასვლის ფაქტობრივი მომენტებიც რამდენიმე წუთით (მაღალი მთების სიახლოვეს შეიძლება 1 საათზე მეტითაც) განსხვავებულია გამოთვლილი მომენტებისაგან (ეს ეხება სხვა ციურ სხეულთა ამოსვლა-ჩასვლასაც).

მზის ამოსვლა-ჩასვლის მოცემული მომენტები საქართველოს სხვადასხვა პუნქტისათვის, თბილისის დროით გამოსახვისას, ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდეს 40 წუთამდე.

მათ საპოვნელად უნდა მოვახდინოთ ინტერპოლაცია კალენდრის ცხრილების მონაცემებისა მოცემული პუნქტის  $\phi$  განედისათვის, შემდეგ კი მიღებულ მომენტს დავამატოთ ( $3^h - \lambda$ ) სიდიდე, სადაც  $\lambda$  მოცემული პუნქტის გრძედია, გამოსახული საათებითა და წუთებით.

X სვეტი მოიცავს მზის ამოსვლისა და ჩასვლის ადგილის გეოდეზიურ A აზიმუტის რიცხვით მნიშვნელობებს თბილისისათვის. A ათვლება პორიზონტის წრეწირზე ჩრდილოეთის წერტილიდან აღმოსავლეთით (+) ნიშნით და დასავლეთით (-) ნიშნით. საქართველოს სხვა პუნქტებისათვის A -ს სიდიდე უმნიშვნელოდ იქნება განსხვავებული ამ მნიშვნელობებისაგან. ეს მონაცემები გამოიყენება იმისათვის, რომ წინასწარ გავიგოთ პორიზონტის რა ადგილას უნდა მოველოდეთ მზის ამოსვლა-ჩასვლას. ადვილი მისახვედრია რომ, თუ  $A=90^\circ$ , მზე ზუსტად აღმოსავლეთის წერტილში ამოდის (ეს ხდება გაზაფხულის და შემოდგომის დღე-ღამტოლობის დღეებში). ზაფხულის თვეებში  $A < 90^\circ$ ; მზე ამოდის აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის წერტილებს შორის.

კენტ გვერდებზე III სვეტში მოცემულია დღეები იულიუსის პერიოდისა, რომელიც შეიცავს 7980 წელიწადს და რომლის დასაწყისად ითვლება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4713 წლის 1 იანვრის გრინვიჩისეული საშუალო შუადღე. მაგალითად, 2022 წლის 1 თებერვალს (გვ. 25) ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4713 წლის 1 იანვრიდან გასულია 2 459 611.5 დღე-ღამე.

იულიუსის აღრიცხვით დღეთა რაოდენობას ყოველ ორ თარიღს შორის მარტივად და შეუცდომლად გავიგებთ. ამიტომ ის ხშირად გამოიყენება ასტრონომიაში.

თვით იულიუსის პერიოდი უმცირესი საერთო ჯერადია 28, 19 და 15-წლიანი პერიოდებისა და ამ რიცხვთა ნამრავლით მიიღება:  $28 \times 19 \times 15 = 7980$ . ყოველი 28 წლის შემდეგ მეორდება კალენდარულ თარიღთა შესაბამისი კვირის დღეები, ყოველი 19 წლის შემდეგ (ე.წ. მეტონის ციკლი) დაახლოებით მეორდება კალენდარულ თარიღთა შესაბამისი მთვარის ფაზები, 15-წლიანი პერიო-

დი კი ძველი რომის საბეგარო სისტემაში გამოიყენებოდა. ამრიგად, იულიუსის პერიოდის გასვლის შემდეგ 1 იანვარს კვლავ დადგება ამ სამივე შემადგენელი პერიოდის დასაწყისი.

### **მთვარი**

(გვ 46-49). II, IV და VI სვეტებში მოცემულია მთვარის ამოსვლის, III, V და VII სვეტებში კი ჩასვლის მომენტები, თბილისისათვის ადგილობრივი საშუალო დროით წლის ყოველი დღისთვის. მთვარის ამოსვლა-ჩასვლის მომენტები საქართველოს სხვადასხვა პუნქტში ადგილობრივი საშუალო დროით შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს დაახლოებით 10 წუთამდე, ამ ცხრილში მოყვანილი მომენტებისაგან კი დაახლოებით 20 წუთამდე (თბილისის დროით გამოსახვისას ეს სხვაობანი შეიძლება 1 საათს აღწევდეს). დეკრეტულ დროზე გადასაყვანად ამ მონაცემებს უნდა დაემატოს 1 საათი, საზაფხულო დროზე გადასაყვანად კი, სათანადო შუალედში, კიდევ ერთი საათი. რეალურმა ჰორიზონტმა, მაღალი მთების სიახლოვეს, ცხადია, შეიძლება საგრძნობი კორექტივი შეიტანოს მთვარის ამოსვლა-ჩასვლის რეალურ მომენტებში.

### **მთვარის ფაზები**

(გვ. 50). ცხრილში მოცემულია მთვარის ძირითადი ფაზების მომენტები თბილისის საშუალო დროით. ნაჩვენებია დღე, საათი და წუთი.

მაგალითად, იანვარში, ახალმთვარეობა 2-შია; ეს ფაზა ზუსტად 21 საათსა და 36 წუთზე დგება. იმის გამო, რომ მთვარის თვე კალენდარულ თვეზე მოკლეა, ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ერთი და იგივე ფაზა მოცემულ თვეში განმეორდეს, მაგალითად 1 და 30 აპრილს.

### **პლანეტები**

(გვ. 51-57). მოცემულია 2022 წლის განმავლობაში პლანეტების მდებარეობისა და მათი ხილვადობის აღწერილობა. (გვ. 58-67). წარმოდგენილია ცხრილები, რომელთა მე-2, მე-3 და მე-4 სვეტები შეიცავს პლანეტების ამოსვლის, ზედა კულმინაციის და ჩასვლის მომენტებს თბილისში, ადგილობრივი საშუალო დროით, დაწყებული 1 იანვრიდან ყოველი შემდეგი მე-7 დღისთვის, მთელი წლის მანძილზე. ეს მომენტები საქართველოს სხვა პუნქტები-



სათვის თბილისის დროით შეიძლება განსხვავდებოდეს 40 წუთამდე. მომენტები და კოორდინატები მოცემულია ასე იშვიათად იმის გამო, რომ ისინი შედარებით მცირედ ცვალებადობენ. ინტერპოლაციით გამოვითვლით ამ სიდიდეებს ნებისმიერი დღისთვის პრაქტიკულად საკმარისი სიზუსტით. მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 სვეტების მონაცემები მიგვითითებს სად უნდა მოველოდეთ ცთომილის ამოსვლას (ჩასვლას), რა მანძილზე უნდა იმყოფებოდეს დედამიწის ცენტრიდან და რომელ თანავარსკვლავედში უნდა ვეძებდეთ მას.

თუ გვინტერესებს თბილისის დროით რომელ საათზე ამოვა, გაივლის ზედა კულმინაციაში ან ჩავა ესა თუ ის პლანეტა, კალენდარულ მონაცემებს უნდა დავამატოთ 1 წუთი. საქმე ისაა, რომ თბილისის გრძედი 1<sup>მ</sup>-ით ნაკლებია მესამე სასაათო ზოლის შუა მერიდიანის გრძედზე, რომლის ადგილობრივ დროს „თბილისის დრო“ ეწოდება. ამიტომ „თბილისის დრო“ 1 წუთით წინაა ქობილისის ადგილობრივ დროზე და სწორედ ამას ეყრდნობა ზემოთაღნიშნული წესი.

### **სამოქალაქო და ასტრონომიული ბინდო და დღის ხანგრძლივობა**

(გვ. 68-69). სადამოს ბინდის დასაწყისი და დილის ბინდის დასასრული მზის დისკოს ზედა კიდის პორიზონტის ხაზთან შეხების მომენტებია.

სამოქალაქო ბინდის ხანგრძლივობა უდრის დროის იმ ინტერვალს, რაც მზეს დასჭირდება პორიზონტის ქვემოთ 6°-ით ჩაშვებისათვის (ან ამ მანძილის გავლისათვის ქვევიდან ზევით-პორიზონტამდე), ხოლო ასტრონომიული ბინდისა – პორიზონტს ქვემოთ 18°-ით ჩაშვებისათვის.

VI და VII სვეტებში მოცემულია ბინდის ხანგრძლივობა. მისი გამოთვლა ადვილია, როგორც სხვაობისა, მაგალითად, მზის ამოსვლის მომენტსა და დილის ბინდის დასაწყისის მომენტს შორის (სათანადო ცხრილიდან).

VIII სვეტში მოცემულია დღის ხანგრძლივობა, რაც დროის ინტერვალსაა დილის ბინდის დასასრულიდან სადამოს ბინდის დასაწყისამდე.

ეს ცხრილი შედგენილია 42° განედისათვის და გამოსადეგია საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის.

## **მზისა და მთვარის დაბნელება**

(გვ. 70-71). მოცემულია ცნობები მზისა და მთვარის დაბნელებების შესახებ.

2022 წელს მოხდება მზის ორი დაბნელება: 30 აპრილ-1 მაისს და 25 ოქტომბერს. საქართველოდან გამოჩნდება მხოლოდ 25 ოქტომბრის დაბნელება. აგრეთვე მოხდება მთვარის ორი დაბნელება: 16 მაისსა და 8 ნოემბერს. საქართველოდან არც ერთი მათგანი არ გამოჩნდება.

## **შსსანიშნავი მეტეოროლოგიური ნაკადები**

(გვ. 72). მეტეოროლოგიური ნაკადების სიაში შეტანილია ძირითადად მხოლოდ ისეთები, რომელთა დაკვირვებისათვის საუკეთესო პირობებია მეტეოროლოგების სისშირისა და ხილვადობის მხრივ.

მე-2 სვეტში მოცემულია ნაკადის სახელწოდება იმ თანავარსკვლავედის ლათინური დასახელებით, რომელშიც იმყოფება მისი რადიანტი ანუ წერტილი, საიდანაც თითქოს შემოიჭრებიან ცაზე მოცემული ნაკადის მეტეოროები.

მე-4 სვეტი შეიცავს მაქსიმუმის დღეს, რომელიც შეესაბამება ჩვენს ცაზე შემოჭრილ მეტეოროთა მაქსიმალურ რაოდენობას ერთ საათში. მე-8 სვეტში მოცემულია მეტეოროთა რაოდენობა, რაც წარმოადგენს უმთვარო ღამით ერთი დამკვირვებლის მიერ ერთ საათში დათვლილ მეტეოროთა რიცხვს.

## **ზარსკვლავთა საშუალო გეგმარობანი**

### **2022 წლის მომენტისათვის**

(გვ. 73-76). მოცემულია კაშკაშა ვარსკვლავების საშუალო მდებარეობების ზუსტი ეკვატორული კოორდინატები. ამ ცხრილში შევიდა 3.5 ვარსკვლავიერ სიდიდეზე უფრო კაშკაშა ყველა ვარსკვლავი, რომელთა დახრილობა  $+90^{\circ}$ -სა და  $-30^{\circ}$ -ს შორისაა.

## **ცვალებადი ვარსკვლავები**

(გვ. 77-80). ვარსკვლავებს, რომელთა სიკაშკაშე არასტაბილურია, ცვალებად ვარსკვლავებს უწოდებენ. მათი სიკაშკაშის ცვალებადობის ხასიათის შესწავლა საინტერესო მეცნიერულ ამოცანას წარმოადგენს. სიკაშკაშის ცვალებადობა გამოწვეულია ან ფიზიკური მოვლენებით თვით ვარსკვლავებში (მაგ. ცეფეიდები), ან ოპტიკური ეფექტით, რაც გამოიხატება ორმაგი ვარსკვლავების კომპონენტების მიერ ერთმანეთის პერიოდული

დაბნელებით (ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავები). ცხრილში მოყვანილია მონაცემები ისეთი ცვალებადი ვარსკვლავებისათვის, რომელთა დაკვირვება მისაწვდომია მცირე ზომის ტელესკოპებით.

IV სვეტში მოცემულია ვარსკვლავის მაქსიმალური და მინიმალური სიკაშკაშის მნიშვნელობანი, გამოხატული ვარსკვლავიერი სიდიდეებით. მათი სხვაობა გვაძლევს სიკაშკაშის ცვალებადობის ფარგლებს, ანუ ამპლიტუდას.

V სვეტში მოცემულია სიკაშკაშის მაქსიმუმის (ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავების შემთხვევაში მინიმუმის) მომენტის გამოსათვლელი ფორმულა, რომელშიც პირველი წევრი წარმოადგენს სიკაშკაშის მაქსიმუმის (მინიმუმის) საწყის მომენტს, გამოხატულს იულიუსის დღეებით; მეორე წევრი კი წარმოადგენს ცვალებადობის პერიოდისა და E ფაქტორის ნამრავლს, გამოხატულს დღე-ღამეებით. E ფაქტორი ნიშნავს საწყისი მომენტიდან დაკვირვების მომენტამდე გასული პერიოდების რიცხვს.

დაკვირვება ისეთ ცვალებად ვარსკვლავზე, რომელიც სწრაფად იცვლის სიკაშკაშეს და ჩანს შეუიარაღებელი თვალით, ერთობ საინტერესოა. იმისთვის, რომ სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ სხვადასხვა ტიპის ვარსკვლავთა ცვალებადობის ხასიათზე, საჭიროა მათზე სისტემატური დაკვირვება.

მოყვანილია მონაცემები რამდენიმე გრძელპერიოდანი ცვალებადისა და ერთი ტიპიური ცვალებადი ვარსკვლავის პერსევსის β-ს სიკაშკაშის ცვალებადობის შესახებ, რომელზეც დაკვირვება ადვილი მოსახერხებელია.

### რეფრაქციის ცხრილები

(გვ. 83-84). დედამიწის ატმოსფერო ამრუდებს ციურ მნათობთა სხივების სვლას, სახელდობრ, აახლოებს მას ვერტიკალურ მიმართულებასთან. ამის გამო მნათობები მათი ჭეშმარიტი მდებარეობებისაგან რამდენადმე ზენიტისკენ გადაადგილებულნი გვეჩვენება. ამ გადაადგილების სიდიდეს და თვით მოვლენასაც რეფრაქციას უწოდებენ (რეფრაქცია გარდატეხას ნიშნავს). რეფრაქციის სიდიდე სხვადასხვაა ზენიტიდან სხვადასხვანაირად დაშორებული მნათობებისთვის და, ამას გარდა, რამდენადმე დამოკიდებულია ატმოსფეროს ტემპერატურასა და ბარომეტრულ წნევაზე.

რეფრაქციის სიდიდის ცოდნა აუცილებელია, რათა მნათობების ნამდვილი, კატალოგებში აღნიშნული მდებარეობების მიხე-

დვით გამოვითვალთ ცაზე მათი ხილული მდებარეობანი ან პირიქით: დაკვირვებით განსაზღვრული მნათობების ხილული კოორდინატების საშუალებით განვსაზღვროთ მათივე ჭეშმარიტი კოორდინატები.

მოგვეავს საშუალო რეფრაქციის, აგრეთვე რეფრაქციაზე წნევისა და ტემპერატურის გავლენის ამსახველი ცხრილები.

### **ცნობები რამდენიმე უკაშკაშის და უახლოესი მარსკვლავის შესახებ**

**(გვ. 85-86).** მოცემულია ძირითადი ცნობები ბრწყინვალეების, მანძილის, ტემპერატურის და სხვათა შესახებ.

### **ორჯერადი მარსკვლავები კომპონენტებს შორის მკვეთრად განსხვავებული ფერებით**

**(გვ. 86).** დაკვირვებისთვის თავისებურ ინტერესს წარმოადგენს ორჯერადი ვარსკვლავები, რომელთა კომპონენტებს განსხვავებული ფერები ახასიათებთ, რაც მათი ტემპერატურების სხვადასხვაობით არის გამოწვეული. ცხრილში მოცემულია ასეთი კაშკაშა სისტემები.

### **ორჯერადი მარსკვლავები**

**(გვ. 87).** ორ ვარსკვლავს, რომელნიც მათი საერთო სიმძიმის ცენტრის გარშემო ბრუნავენ, ორჯერად ვარსკვლავს უწოდებენ. თუ ასეთ სისტემას ქმნის სამი ვარსკვლავი, მას სამჯერადს უწოდებენ და ა.შ. ორჯერად სისტემაში უფრო კაშკაშა ვარსკვლავს აღნიშნავენ როგორც *A* კომპონენტს, მეორეს კი როგორც *B* კომპონენტს.

ცხრილში მოცემულია შედარებით კაშკაშა ჯერადი სისტემები, რომელთა კომპონენტებს შორის დაშორება არცთუ ძალიან მცირეა. მათი ჯერადობის შემჩნევა და დაკვირვება შესაძლებელია მცირე ზომის ტელესკოპით ან ძლიერი დურბინდით.

### **ღია და სფერული ბროშები**

**(გვ. 88).** სივრცის შედარებით მცირე მოცულობაში ვარსკვლავთა სივრცულ შეჯგუფებას ეწოდება ვარსკვლავთა გროვა. თუ ვარსკვლავები თავმოყრილია სფეროს ან ბრუნვითი ელიფსოიდის ფორმის მქონე არეში, მაშინ ასეთ გროვას ეწოდება სფერული. სფერულ გროვაში შეიძლება შედიოდეს ათეულობით ათასი ვარსკვლავი. ასეთ გროვებში ვარსკვლავების ერთმანეთთან მჭი-

დრო განლაგების გამო არ ხერხდება მათი რაოდენობის ზუსტი დადგენა და ძნელდება ცალკეული ვარსკვლავის ბრწყინვალეობის გაზომვა. თუ ვარსკვლავები თავმოყრილია უწყვლად ფორმის სახით და ხშირად ისინი ადვილად არ გამოირჩევიან მათ გარშემო მდებარე ვარსკვლავთაგან, მაშინ ასეთებს ვარსკვლავთ ღია გროვებს უწოდებენ. ასეთ გროვებში შეიძლება შედიოდეს რამდენიმე ასეული ვარსკვლავი. ცხრილში თავმოყრილ ვარსკვლავთა გროვების დაკვირვება მცირე ზომის ტელესკოპითაც შეიძლება.

### **ბნელი, დიფუზური და პლანეტასხის ნისლეულები**

**(გვ. 89).** მოყვანილია ჩვენს გალაქტიკაში შემავალი ზოგიერთი სხვადასხვა ფორმის, სუსტად მნათი აირებისა და კოსმოსური მტვრის მასები, ან დიფუზური (დიფ) ნისლეულები. ასეთი მასები, თუ არ ანათებენ, ბნელ (ბნ) ნისლეულებად იწოდებიან. თუ ნისლეული მცირე ზომის არეს იჭერს, მრგვალი ან შებრტყელებული ფორმისაა და მის ცენტრში ვარსკვლავი გამოსჭვივის, მაშინ ასეთს პლანეტასხის (პლ) ნისლეული ეწოდება.

### **გალაქტიკები**

**(გვ. 90).** მოყვანილია ვარსკვლავთა სისტემები, რომლებიც ჩვენი ვარსკვლავთ სისტემის ანუ ჩვენი გალაქტიკის მსგავსია და იმყოფება ზესივრცეში ჩვენი გალაქტიკის გარეთ. ასეთი სისტემები, ანუ გალაქტიკები სამყაროში აურაცხელი რაოდენობითაა. გალაქტიკები თავიანთი ფორმის და ევოლუციის მიხედვით იყოფიან სპეციფიკურ ჯგუფებად: E, Sb, Sc და სხვ.

### **სხვა მონაცემები**

შემდგომ გვერდებზე **(გვ. 91-104).** მოცემულია ძირითადი ცნობები პლანეტებსა და მათ თანამგზავრებზე: დედამიწაზე, მთვარესა და მზეზე; მოცემულია ზოგიერთი მუდმივი სიდიდის მნიშვნელობანი, სხვა დამხმარე ცხრილები და აღნიშვნებიც. ყველა საჭირო განმარტება თვით ცხრილებში მოიპოვება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩვენი კალენდრის 2008 წლის გამოშვებიდან დაწყებული, პლუტონი ამოვიღეთ მზის სისტემის დიდი პლანეტების ცხრილიდან. ამას გარდა, განვაახლეთ პლანეტების თანამგზავრთა ცხრილები ბოლო წლებში აღმოჩენილ თანამგზავრთა გათვალისწინებით.



თვის რიცხვი	მზის კვირის დღე	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში საშუალო დროით	წასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლის და წასვლის ახიმუცი
		41°	42°	43°		41°	42°	43°	

0 ა ნ ვ ა რ 0

		h m	h m	h m	h m s	h m	h m	h m	°
1	შპ	7 25	7 28	7 32	12 03 29	16 42	16 39	16 36	121
2	კვ	7 25	7 28	7 32	12 03 57	16 43	16 40	16 37	121
3	ორ	7 25	7 28	7 32	12 04 25	16 44	16 41	16 38	120
4	სმ	7 25	7 28	7 32	12 04 52	16 45	16 42	16 38	120
5	ოთ	7 25	7 28	7 31	12 05 19	16 46	16 43	16 40	120
6	ხთ	7 25	7 28	7 31	12 05 46	16 47	16 44	16 40	120
7	პრ	7 25	7 28	7 31	12 06 12	16 48	16 45	16 42	120
8	შპ	7 25	7 28	7 31	12 06 38	16 49	16 46	16 42	120
9	კვ	7 25	7 28	7 31	12 07 03	16 50	16 47	16 44	119
10	ორ	7 24	7 28	7 30	12 07 28	16 51	16 48	16 45	119
11	სმ	7 24	7 27	7 30	12 07 52	16 52	16 49	16 46	119
12	ოთ	7 24	7 27	7 30	12 08 15	16 53	16 50	16 47	119
13	ხთ	7 24	7 26	7 30	12 08 38	16 54	16 51	16 48	119
14	პრ	7 23	7 26	7 29	12 09 21	16 55	16 52	16 49	118
15	შპ	7 23	7 26	7 28	12 09 32	16 56	16 53	16 50	118
16	კვ	7 22	7 25	7 28	12 09 43	16 57	16 54	16 52	118
17	ორ	7 22	7 24	7 28	12 10 03	16 58	16 55	16 53	118
18	სმ	7 22	7 24	7 27	12 10 23	16 59	16 56	16 54	117
19	ოთ	7 22	7 24	7 26	12 10 42	17 00	16 58	16 55	117
20	ხთ	7 21	7 23	7 26	12 11 00	17 02	16 59	16 56	117
21	პრ	7 20	7 22	7 25	12 11 17	17 03	17 00	16 58	116
22	შპ	7 20	7 22	7 24	12 11 33	17 04	17 02	16 59	116
23	კვ	7 19	7 21	7 24	12 11 49	17 05	17 03	17 00	116
24	ორ	7 18	7 20	7 23	12 12 04	17 06	17 04	17 02	115
25	სმ	7 18	7 19	7 22	12 12 18	17 08	17 05	17 03	115
26	ოთ	7 17	7 18	7 21	12 12 31	17 09	17 06	17 04	115
27	ხთ	7 16	7 18	7 20	12 12 44	17 10	17 08	17 05	114
28	პრ	7 14	7 17	7 20	12 12 56	17 12	17 09	17 06	114
29	შპ	7 14	7 16	7 18	12 13 07	17 13	17 10	17 08	114
30	კვ	7 13	7 15	7 18	12 13 17	17 14	17 12	17 09	113
31	ორ	7 12	7 14	7 16	12 13 26	17 15	17 13	17 11	113



თვის რიცხვი	წლის დასაწყისიდან გაჩედილი მისი ნაწილი	ცნობის უფლები	კვლევის დასრულების თარიღი	კვლევის დასრულების თარიღი	დედამიწის დინამიკური დროითი მზა-ზე		ხილული რაოდენობა	კვლევის დასრულების თარიღი
					ხილული ა	ხილული ბ		

0 1 2 3 4 5 6

		2459	h m s	h m s	° ' "	' "	h m s
1	0.000	580.5	6 42 29	18 45 48	-23 02	16 18	6 42 00
2	.003	581.5	6 46 26	18 50 13	22 57	16 18	6 45 56
3	.006	582.5	6 50 23	18 54 37	22 52	16 18	6 49 53
4	.008	583.5	6 54 19	18 59 01	22 46	16 18	6 53 49
5	.011	584.5	6 58 16	19 03 25	22 40	16 17	6 57 46
6	.014	585.5	7 02 12	19 07 48	22 33	16 17	7 01 42
7	.016	586.5	7 06 09	19 12 11	22 26	16 17	7 05 39
8	.019	587.5	7 10 05	19 16 34	22 18	16 17	7 09 36
9	.022	588.5	7 14 02	19 20 56	22 10	16 17	7 13 32
10	.025	589.5	7 17 58	19 25 17	22 01	16 17	7 17 29
11	.027	590.5	7 21 55	19 29 38	21 52	16 17	7 21 25
12	.030	591.5	7 25 52	19 33 58	21 43	16 17	7 25 22
13	.033	592.5	7 29 48	19 38 18	21 33	16 17	7 29 18
14	.036	593.5	7 33 45	19 42 37	21 23	16 17	7 33 15
15	.038	594.5	7 37 41	19 46 56	21 12	16 17	7 37 11
16	.041	595.5	7 41 38	19 51 13	21 01	16 17	7 41 08
17	.044	596.5	7 45 34	19 55 30	20 50	16 17	7 45 05
18	.046	597.5	7 49 31	19 59 47	20 38	16 17	7 49 01
19	.049	598.5	7 53 27	20 04 02	20 25	16 17	7 52 58
20	.052	599.5	7 57 24	20 08 17	20 13	16 17	7 56 54
21	.055	600.5	8 01 21	20 12 31	20 00	16 17	8 00 51
22	.058	601.5	8 05 17	20 16 45	19 46	16 17	8 04 47
23	.060	602.5	8 09 14	20 20 57	19 33	16 17	8 08 44
24	.063	603.5	8 13 10	20 25 08	19 19	16 16	8 12 40
25	.066	604.5	8 17 07	20 29 20	19 04	16 16	8 16 37
26	.068	605.5	8 21 03	20 33 30	18 49	16 16	8 20 34
27	.071	606.5	8 25 00	20 38 40	18 34	16 16	8 24 30
28	.074	607.5	8 28 56	20 41 48	18 19	16 16	8 28 27
29	.077	608.5	8 32 53	20 45 56	18 03	16 16	8 32 23
30	.079	609.5	8 36 50	20 50 03	17 47	16 16	8 36 20
31	0.082	610.5	8 40 46	20 54 09	-17 30	16 16	8 40 16



თვის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში საშუალო დროით	ჩასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლისა და ჩასვლის აზიმუტი
		41°	42°	43°		41°	42°	43°	

თ ე ზ ე რ ვ ა ლ 0

		h m	h m	h m	h m s	h m	h m	h m	h m	°
1	სმ	7 11	7 13	7 16	12 13 34	17 17	17 15	17 12		112
2	ოთ	7 10	7 12	7 14	12 13 42	17 18	17 16	17 14		112
3	ხთ	7 09	7 11	7 13	12 13 49	17 20	17 18	17 15		112
4	პრ	7 08	7 10	7 12	12 13 55	17 21	17 19	17 17		111
5	შბ	7 07	7 09	7 11	12 14 00	17 22	17 20	17 18		111
6	კვ	7 06	7 08	7 10	12 14 05	17 23	17 21	17 19		110
7	ორ	7 05	7 06	7 08	12 14 08	17 24	17 22	17 20		110
8	სმ	7 04	7 05	7 07	12 14 11	17 26	17 24	17 22		110
9	ოთ	7 02	7 04	7 06	12 14 13	17 27	17 25	17 23		109
10	ხთ	7 01	7 03	7 05	12 14 15	17 28	17 26	17 24		109
11	პრ	7 00	7 02	7 04	12 14 15	17 29	17 28	17 26		108
12	შბ	6 59	7 00	7 02	12 14 15	17 30	17 29	17 27		108
13	კვ	6 58	6 59	7 01	12 14 14	17 32	17 30	17 28		107
14	ორ	6 56	6 58	7 00	12 14 13	17 33	17 31	17 30		107
15	სმ	6 55	6 56	6 58	12 14 10	17 34	17 32	17 31		106
16	ოთ	6 54	6 55	6 57	12 14 07	17 35	17 34	17 32		106
17	ხთ	6 52	6 54	6 56	12 14 03	17 36	17 35	17 34		105
18	პრ	6 51	6 52	6 54	12 13 58	17 38	17 36	17 35		105
19	შბ	6 50	6 51	6 52	12 13 53	17 39	17 38	17 36		105
20	კვ	6 48	6 50	6 51	12 13 47	17 40	17 39	17 38		104
21	ორ	6 46	6 48	6 50	12 13 40	17 42	17 40	17 39		104
22	სმ	6 45	6 46	6 48	12 13 33	17 43	17 41	17 40		103
23	ოთ	6 44	6 45	6 46	12 13 25	17 44	17 42	17 42		103
24	ხთ	6 42	6 44	6 45	12 13 16	17 45	17 44	17 43		102
25	პრ	6 41	6 42	6 43	12 13 07	17 46	17 45	17 44		102
26	შბ	6 40	6 41	6 42	12 12 57	17 47	17 46	17 45		101
27	კვ	6 38	6 39	6 40	12 12 47	17 48	17 48	17 46		101
28	ორ	6 36	6 37	6 38	12 12 36	17 50	17 49	17 48		100





თვის რიცხვი	წლის დასაწყისიდან განმეორებული დღის რაოდენობა	გნაობის სიღრმის კვირის დღე	კანკაგვირნი დრო ორ-ზე მსოფლიო დროით	დედამიწის დინამიკური დროით ორ-ზე		სიჩქარე	კანკაგვირნი დრო ორ-ზე მსოფლიო დროით
				სიღრმე	სიღრმე		

0 1 2 3 4 5 6 7 8 9 0

		2459	h m s	h m s	° ' "	' "	h m s
1	0.085	611.5	8 44 43	20 58 14	-17 13	16 15	8 44 13
2	.088	612.5	8 48 39	21 02 19	16 56	16 15	8 48 09
3	.090	613.5	8 52 35	21 06 22	16 39	16 15	8 52 05
4	.093	614.5	8 56 32	21 10 25	16 21	16 15	8 56 03
5	.096	615.5	9 00 29	21 14 27	16 03	16 15	8 59 59
6	.099	616.5	9 04 25	21 18 29	15 45	16 15	9 03 56
7	.101	617.5	9 08 22	21 22 29	15 27	16 15	9 07 52
8	.104	618.5	9 12 19	21 26 29	15 08	16 14	9 11 49
9	.107	619.5	9 16 15	21 30 28	14 49	16 14	9 15 45
10	.110	620.5	9 20 12	21 34 26	14 30	16 14	9 19 42
11	.112	621.5	9 24 08	21 38 24	14 10	16 14	9 23 38
12	.115	622.5	9 28 05	21 42 20	13 50	16 14	9 27 35
13	.118	623.5	9 32 01	21 46 16	13 30	16 13	9 31 32
14	.120	624.5	9 35 58	21 50 12	13 10	16 13	9 35 28
15	.123	625.5	9 39 54	21 54 06	12 50	16 13	9 39 25
16	.126	626.5	9 43 51	21 58 00	12 29	16 13	9 43 21
17	.129	627.5	9 47 48	22 01 52	12 08	16 13	9 47 18
18	.131	628.5	9 51 44	22 05 45	11 47	16 13	9 51 14
19	.134	629.5	9 55 41	22 09 36	11 26	16 12	9 55 11
20	.137	630.5	9 59 37	22 13 27	11 05	16 12	9 59 07
21	.140	631.5	10 03 34	22 17 17	10 43	16 12	10 03 04
22	.142	632.5	10 07 30	22 21 06	10 21	16 12	10 07 01
23	.145	633.5	10 11 27	22 24 55	9 59	16 11	10 10 57
24	.148	634.5	10 15 23	22 28 43	9 37	16 11	10 14 54
25	.151	635.5	10 19 20	22 32 31	9 15	16 11	10 18 50
26	.153	636.5	10 23 17	22 36 18	8 53	16 11	10 22 47
27	.156	637.5	10 27 13	22 40 04	8 31	16 11	10 26 43
28	0.159	638.5	10 31 10	22 43 50	-8 08	16 10	10 30 40



თვის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში თბილისის საშუალო დროით	ჩასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლისა და ჩასვლის აბსოლუტი
		41°	42°	43°		41°	42°	43°	
მ ა რ ტ ი									
		h m	h m	h m	h m s	h m	h m	h m	°
1	სმ	6 35	6 36	6 37	12 12 25	17 51	17 50	17 49	100
2	ოთ	6 33	6 34	6 35	12 12 13	17 52	17 51	17 50	99
3	ხთ	6 32	6 33	6 34	12 12 00	17 53	17 52	17 52	99
4	პრ	6 30	6 31	6 32	12 11 47	17 54	17 53	17 52	98
5	შბ	6 28	6 29	6 30	12 11 34	17 55	17 54	17 53	98
6	კვ	6 27	6 28	6 28	12 11 20	17 56	17 55	17 55	97
7	ორ	6 26	6 27	6 26	12 11 06	17 57	17 56	17 56	97
8	სმ	6 24	6 26	6 25	12 10 52	17 58	17 58	17 57	96
9	ოთ	6 22	6 23	6 24	12 10 37	18 00	17 59	17 58	96
10	ხთ	6 21	6 22	6 23	12 10 22	18 01	18 00	18 00	95
11	პრ	6 19	6 20	6 21	12 10 06	18 02	18 02	18 01	94
12	შბ	6 17	6 18	6 18	12 09 51	18 03	18 03	18 02	94
13	კვ	6 16	6 16	6 16	12 09 35	18 04	18 04	18 04	93
14	ორ	6 14	6 14	6 15	12 09 18	18 05	18 05	18 05	93
15	სმ	6 12	6 12	6 13	12 09 01	18 06	18 06	18 06	92
16	ოთ	6 11	6 11	6 11	12 08 45	18 07	18 07	18 07	92
17	ხთ	6 09	6 09	6 09	12 08 27	18 08	18 08	18 08	91
18	პრ	6 07	6 07	6 07	12 08 10	18 10	18 09	18 09	91
19	შბ	6 06	6 06	6 06	12 07 53	18 11	18 10	18 10	90
20	კვ	6 04	6 04	6 04	12 07 35	18 12	18 12	18 12	90
21	ორ	6 02	6 02	6 02	12 07 17	18 13	18 13	18 13	89
22	სმ	6 00	6 00	6 00	12 06 59	18 14	18 14	18 14	89
23	ოთ	5 59	5 58	5 58	12 06 41	18 15	18 15	18 15	88
24	ხთ	5 57	5 57	5 57	12 06 23	18 16	18 16	18 16	88
25	პრ	5 56	5 55	5 55	12 06 05	18 17	18 17	18 18	87
26	შბ	5 54	5 54	5 53	12 05 46	18 18	18 18	18 19	87
27	კვ	5 52	5 52	5 52	12 05 28	18 19	18 20	18 20	86
28	ორ	5 51	5 50	5 50	12 05 10	18 20	18 21	18 21	86
29	სმ	5 50	5 49	5 48	12 04 52	18 22	18 22	18 22	85
30	ოთ	5 48	5 47	5 47	12 04 33	18 23	18 23	18 24	84
31	ხთ	5 46	5 46	5 45	12 04 15	18 24	18 24	18 25	84



თვის რიცხვი	წლის დასაწყისიდან გავლილი მისი ხაზი	იულისეანული პერიოდის დღე	გარსკვლავერი დრო 0 <sup>h</sup> -ზე მსოფლიო დროით	დედამიწის დინამიკური დროით 0 <sup>h</sup> -ზე		ხილული რადიუსი	გარსკვლავერი დრო 0 <sup>h</sup> -ზე თბილისის სა-შუალო დროით
				ხილული α	ხილული δ		

მ ა რ ტ ი

		2459	h m s	h m s	° ' "	' "	h m s
1	0.162	639.5	10 35 06	22 47 36	-7 45	16 10	10 34 36
2	.164	6405	10 39 03	22 51 20	7 23	16 10	10 38 33
3	.167	641.5	10 42 59	22 55 05	7 00	16 10	10 42 30
4	.170	642.5	10 46 56	22 58 49	6 37	16 09	10 46 26
5	.172	643.5	10 50 52	23 02 32	6 14	16 09	10 50 23
6	.175	644.5	10 54 49	23 06 15	5 50	16 09	10 54 19
7	.178	645.5	10 58 46	23 09 58	5 27	16 09	10 58 16
8	.181	646.5	11 02 42	23 13 40	5 04	16 08	11 02 12
9	.183	647.5	11 06 39	23 17 22	4 40	16 08	11 06 09
10	.186	648.5	11 10 35	23 21 03	4 17	16 08	11 10 05
11	.189	649.5	11 14 31	23 24 44	3 53	16 08	11 14 02
12	.192	650.5	11 18 28	23 28 25	3 30	16 07	11 17 59
13	.194	651.5	11 22 25	23 32 06	3 06	16 07	11 21 55
14	.197	652.5	11 26 21	23 35 46	2 42	16 07	11 25 52
15	.200	653.5	11 30 18	23 39 26	2 19	16 07	11 29 48
16	.203	654.5	11 34 15	23 43 06	1 55	16 06	11 33 45
17	.205	655.5	11 38 11	23 46 45	1 31	16 06	11 37 41
18	.208	656.5	11 42 08	23 50 25	1 08	16 06	11 41 38
19	.211	657.5	11 46 04	23 54 04	0 44	16 05	11 45 34
20	.214	658.5	11 50 01	23 57 43	-0 20	16 05	11 49 31
21	.216	659.5	11 53 57	0 01 22	+0 03	16 05	11 53 28
22	.219	6605	11 57 54	0 05 00	0 27	16 05	11 57 24
23	.222	661.5	12 01 50	0 08 39	0 51	16 04	12 01 21
24	.224	662.5	12 05 47	0 12 17	1 14	16 04	12 05 17
25	.227	663.5	12 09 44	0 15 55	1 38	16 04	12 09 14
26	.230	664.5	12 13 40	0 19 34	2 02	16 04	12 13 10
27	.233	665.5	12 17 37	0 23 12	2 25	16 03	12 17 07
28	.236	666.5	12 21 33	0 26 50	2 49	16 03	12 21 03
29	.238	667.5	12 25 30	0 30 28	3 12	16 03	12 25 00
30	.241	668.5	12 29 26	0 34 07	3 35	16 03	12 28 57
31	0.244	669.5	12 33 23	0 37 45	+3 59	16 02	12 32 53



თვის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგი- ლობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში თბილისის საშუალო დროით	ჩასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლის და ჩასვლის ახიქმე
		41°	42°	43°		41°	42°	43°	

ა კ რ ი ლ ი

ამ კითხვაზე საპასუხოდ გჰყვი და მისი კოლეგები 1995 წლიდან ჰავაის 10 მ-იანი კეკის ოპტიკური ტელესკოპით აკვირდებოდნენ ჩვენი გალაქტიკის ცენტრში მდებარე მშვილდოსნის A\*(SgrA\*) რადიოწყაროს ირგვლივ განლაგებულ ვარსკვლავთა მოძრაობას. ამ უკანასკნელთა მაღალი სიჩქარეების საფუძველზე 1998 წელს მათ დაასკვნეს, რომ ეს ვარსკვლავები გარემოქცევიან  $4.10^6$  მზის მასის მქონე უცნობ ობიექტს. ასეთ მცირე მოცულობაში ასე დიდმასიანი სხეული მხოლოდ შავი ხვრელი თუ იქნება. არამიწიერი ფიზიკის მაქს პლანკის ინსტიტუტის ასტროფიზიკოსმა რ. გენცელმა დამოუკიდებლად შეისწავლა აღ-

ნიშნულ ვარსკვლავთა ორბიტები, მივიდა იმავე დასკვნებამდე და გაინაწილა გპეცთან ერთად ნობელის პრემია.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოდის ვარსკვლავიდან, რომელსაც გპეცმა  $SO_2$  შეარქვა. იგი ყოველ 16 წელიწადში ერთხელ უვლის გარს SgrA\* ობიექტს. ცხადია, მისი ორბიტა პრინციპულად ისევე უნდა პრეცესირებდეს, როგორც მერკურისა მზის გარშემო. ამ წინსწრების (მობრუნების) აღმოჩენას მკვლევრები უადრესად „ჩახლართული“ მონაცემებიდან ცდილობდნენ და 2020 წლის აპრილში რ. გენცელსა და მის კოლეგებს კიდევ განუცხადებიათ, რომ ამ მიმართულებით პირველი მტკიცებები უკვე მიიღეს.

გპეცის ჯგუფი ელის, რომ იპოვნიან სხვა ანომალიებსაც, რომლებიც ინფორმაციას მოგვაწვდიან ზემასიური შავი ხვრელის ბუნებაზე. შავი ხვრელის სპინი მის უშუალო სიახლოვეში გამავალი ვარსკვლავთა ორბიტების პრეცესიას განაპირობებს, რასაც კერის მათემატიკური მოდელი უნდა აღწერდეს. მაგრამ ამისათვის უნდა იპოვონ ვარსკვლავები SgrA\*-სთან 10-ჯერ უფრო ახლოს, ვიდრე აქამდე ნაპოვნი ვარსკვლავები არიან.

ვარსკვლავთა მოძრაობის თვალთვალი SgrA\*-ს მოვლენათა ჰორიზონტთან ასე მცირე (მერკურის ორბიტის სადარ) მანძილებზე საფიქრებელია ვერასოდეს მოხერხდება, მაგრამ მშტ-მ, რომელიც მსოფლიოს 11 რადიოტელესკოპის ან მასივების მონაცემებს აერთიანებს და ერთი დიდი ტელესკოპის ეკვივალენტურია, სცადა ღრმად ჩახედვა გაცილებით უფრო მასიურ, 6,5 მლრდ მზის მასის მქონე შავ ხვრელში, რომელიც გალაქტიკა M-87-შია. 2019 წელს ჯგუფის მიერ მიღებული ცეცხლოვანი საღტე, რომელიც ზემოთ მოვისხენიეთ, გამოსახულება არა თვით შავი ხვრელისა, არამედ უფრო მის მიერ შექმნილი ჩრდილოვანი ელფერისა. იგულისხმება, რომ ამ მასიური უხილავი ობიექტის გრავიტაცია ერთგვარად შდის (აღინზირებს) მის ახლოს მყოფი აირის გამოსხივებას. ანუ ჩრდილის კიდე მოვლენათა ჰორიზონტს კი არ აღნიშნავს, საიდანაც მატერია უშუალოდ ჩაედინება და უჩინარდება შავ ხვრელში, არამედ ამაზე 50%-ით მეტ მანძილს, სადაც დრო-სივრცე იმდენადაა გამრუდე-



ბული, რომ აქ გამავალი სინათლე წრეზე უვლის შავ ხვრელს, რაც არც გაქცევაა და არც შეღწევა.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი მიღებული გამოსახულება გვაძლევს ცენტრალური ობიექტის შესწავლის გასაღებს. ვარვარა რგოლის გამოსხივების განაწილება სისშირეთა მიხედვით (ანუ სპექტრი) სიცხადეს შეიტანს იმაში, ამ ცენტრალურ, უხილავ სხეულს ფიზიკური ზედაპირი აქვს თუ მოვლენათა ჰორიზონტი. ზედაპირთან მატერიის შეხლა უფრო კაშკაშა გამოსხივებას შექმნიდა, ვიდრე ნივთიერების წყნარი ჩადინება შავ ხვრელში – მიაჩნია ოზელს (ჯერჯერობით მკვლევრებს რაიმე სპექტრული დამახინჯებანი არ აღმოუჩენიათ). ჩრდილის ფორმა შავი ხვრელის კლასიკურ სურათსაც გადაამოწმებს: მბრუნავი შავი ხვრელის მოვლენათა ჰორიზონტს ეკვატორთან ამოზნექილობა („ბალჯი“) ექნება. მაგრამ ამ ეფექტს ფარდობითობის თეორიის სხვა ეფექტები გაანეიტრალებენ, კერძოდ, ძლიერი ჩახშობა სხვადასხვა მიმართულებით. ამიტომ ჩრდილის ფორმა „სიქაჩლის თეორემის“ პირდაპირი ტესტია.

ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ მშტ-ს სიზუსტე არასაკმარისია ასეთი ტესტირებისთვის. სხვათა (ს. გრალა) შეხედულებით, შეიძლება მშტ შავი ხვრელის ჩრდილს კი არ ხედავს, არამედ განჭვრეტს ამ ხვრელის ირგვლივ მბრუნავი აირის დისკოს წვეროდან სიღრმემდე და შავი ლაქა ამ ასტროფიზიკური გრიგალის თვალია. მაგრამ ოზელი თვლის, რომ შეზღუდული გარჩევის მქონე მშტ-ც კი შეიტანს წვლილს ფარდობითობის ზოგადი თეორიის სისწორის შემოწმებაში შავი ხვრელების კონცეპტუალური აღწერის თვალსაზრისით.

გრავიტაციულ ტალღებს კი, ზემოთქმულისგან განსხვავებით, ინფორმაცია უშუალოდ შავი ხვრელებისაგან მოაქვთ. ეს ტალღები „იღვებებიან“ ხვრელების ერთმანეთისკენ სინათლის სიქარის ნახევრის ტოლი სისწრაფით მიახლოებისას და წარმოადგენენ დრო-სივრცის ჭავლებს, რომლებიც დაუბრკოლებლად მსჭვალავენ ჩვეულებრივ მატერიას. LIGO-მ და Virgo-მ უკვე აღმოჩინეს 3-დან 86-მდე მზის მასის შემცველი შავი ხვრელების ურთიერთშერწყმის ფაქტები.

ფ. ომეს (LIGO-ს წევრი, გრავიტაციული ფიზიკის მაქს პლანკის ინსტიტუტი) აზრით, შავ ხვრელთა შერწყმის პროცესი სხვადასხვა გზით შეიძლება გამოვიკვლიოთ. თუ ეს კლასიკური (მცირემასიანი) ხვრელებია, მაშინ, თეორიის მიხედვით, შერწყმისას წარმოშობილი გრავიტაციული ტალღის ჭიკჭიკისებური სიგნალი გაძლიერდება, მიაღწევს წვეტისებურ კულმინაციას, მერე კი შესუსტდება. გაცილებით მასიურ დიდ ობიექტთა შერწყმისას კი მიახლოებისას ისინი შეაშფოთებენ ერთმანეთს და შეცვლიან სიგნალის პიკს. ჯერჯერობით ამგვარი ცვლილება არ აღმოუჩენიათ.

ორი შავი ხვრელის შერწყმით მიიღება ფინალური შავი ხვრელი, რომელიც ისე, როგორც ტეუკოლსკის ძველ შრომაშია, წარმოქმნის ხანმოკლე მძლავრ გამოსხივებას მთავარ სიხშირეზე და მრავალ უფრო სუსტ ობერტონს. ამ გამოსხივებათა სიხშირეებიც და ხანგრძლივობანიც დამოკიდებულია მხოლოდ საბოლოო შავი ხვრელის მასასა და სპინზე. აქ ჩანს ფარდობითობის თეორიის შემოწმების გზა: თუ ყველა მოდას გაეანალიზებთ, „სიქაჩლის“ თეორემის თანახმად, თითოეული მათგანიდან მასისა და სპინის ერთი და იგივე მნიშვნელობანი უნდა მივიღოთ. სხვა შემთხვევაში კი დავასკენით, რომ რაღაც გერჩება გაუგებარი.

2019 წლის სექტემბერში ტეუკოლსკიმ და მისმა კოლეგებმა დააფიქსირეს განსაკუთრებულად მძლავრ შავ ხვრელთა შერწყმისას წარმოქმნილი გამოსხივების ძირითადი რხევა და ერთადერთი ობერტონი. თუ დამკვირვებელნი შეძლებენ გაზარდონ დეტექტორთა მგრძობიარობა, ისინი მოახერხებენ ორი-სამი ობერტონის ფიქსირებას, რაც საკმარისი იქნება „სიქაჩლის“ თეორემის შემოწმების დასაწყებად. მომავლის უფრო მგრძობიარე ინსტრუმენტებისთვის კი ამგვარი შემოწმება გაცილებით ხელმისაწვდომი იქნება. გვიცის აზრით, ჩილესა და ჰავაიში მშენებარე 30-მეტრიანი ტელესკოპებით შემდგომში ყურადღებით უნდა შევისწავლოთ Sgra\*-ს მიდამო ამჟამინდელზე 80-ჯერ უკეთესი გარჩევით, და შევძლებთ გრავიტაციულ ცენტრთან ბევრად უფრო ახლო განლაგებულ გარემომქცევ ვარსკვლავთა მიკვლევას. მპტ-ს მკვლევრებიც ახალ რადიოთეფშებს ამატებენ

თავიანთ ქსელს, რაც მათ საშუალებას მისცემს მიიღონ M-87 გალაქტიკაში მდებარე შავი ხვრელის უკეთესი „გამოსახულება“. ისინი Sgra\*-ს გამოსახულების მიღებასაც ცდილობენ.

ამასობაში გრავიტაციული ტალღების მკვლევრებიც გეგმავენ უფრო მგრძობიარე დეტექტორებს, მაგალითად LISA-ს (ლაზერულ ინტერფერომეტრიანი კოსმოსური ანტენა – ლიკა), რომელიც შედგება ერთმანეთისგან მილიონობით კმ მანძილებით დაშორებული სამი თანამგზავრისგან. 2030-იან წლებში გათვალისწინებული მისი გაშვებისას LISA შეძლებს აღმოაჩინოს ჩვეულებრივი ვარსკვლავიერი მასის შავი ხვრელი, რომელიც შორეული გალაქტიკის გაცილებით ზემასიურ შავ ხვრელში ვარდება სპირალური ტრაექტორიით – აცხადებს ნ. იუნესი, თეორეტიკოსი ფიზიკოსი ილინოისის უნივერსიტეტიდან.

პატარა შავი ხვრელები გამოდგება გაცილებით მასიურ შავ ხვრელთა გარშემო დრო-სივრცის ზონდირებისთვის, კერძოდ იმის გასარკვევად, ზუსტად ისე ილუნება თუ არა ეს უკანასკნელი, როგორც ამას კერის მეტრიკა აღწერს. დადებითი პასუხის შემთხვევაში დავასკვნით, რომ ბოლო წლებში დაკვირვებებით აღმოჩენილი (ან მინიშნებული) უხილავი ობიექტები სწორედ იმ შავ ხვრელებს წარმოადგენენ, რომელთა არსებობა ფარდობითობის თეორიიდან გამომდინარეობს.

ასე შეცვალა შავ ხვრელთა მოულოდნელმა შესაძლო დაკვირვებადობამ გრავიტაციული ფიზიკის თეორეტიკოსთა ცხოვრება: აზრობრივი ექსპერიმენტებისა და აბსტრაქტული გამოთვლების მშვიდი სფეროდან იგი ფუნდამენტური ფიზიკისა და ჩვენს თვალწინ სწრაფად განვითარებადი დამზერითი ასტროფიზიკის „ცხელ“ სფეროში გადაიტანა და მილიარდობით დოლარიან ექსპერიმენტებს დაუკავშირა.

ზემთო მიმოხილულ საკითხებზე ნათელის მოფენაა ამჟამად მიმდინარე და ასევე უახლოეს წლებში დაგეგმილი უმძლავრესი კოსმოსური პროგრამებით გათვალისწინებული ასტროფიზიკური კვლევების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა.

## 2. მსოფლიოს უდიდესმა რადიოტელესკოპმა არსებობა შეწყვიტა

როგორც ამჟამად საყოველთაოდ ცნობილია, სინათლე კერძო სახეა ელექტრომაგნიტური ტალღებისა, რომლებიც სიცარიელეში სინათლის სიჩქარით ვრცელდებიან. ამგვარ ტალღათა გავრცელების მიმართულება პერპენდიკულარულია იმ, თავის მხრივ ურთიერთმართობული მიმართულებებისა, რომლების გასწვრივაც ირხევიან ელექტრული და მაგნიტური ვექტორები (ანუ საქმე გვაქვს განივ ტალღებთან). ელექტრომაგნიტურ ტალღას ახასიათებს ტალღის სიგრძე (მანძილი თითოეული ამ რხევადი ვექტორის სიგრძის ორ ურთიერთმომდევნო ერთნაირნიშნაინ მაქსიმუმს შორის) და სიხშირე – ერთ წამში თითოეული ვექტორის მიერ შესრულებულ რხევათა რაოდენობა. სინათლის შემადგენელ რხევათა ტალღის სიგრძეები დაახლოებით 4000-დან 8000-მდე  $\text{Å}^\circ$ -ის დიაპაზონშია (ეს სიმბოლო აღნიშნავს ასტროფიზიკაში ხშირად ხმარებულ სიგრძის ერთეულს, რომელსაც ანგსტრემი ეწოდება და რომელიც  $10^{-8}$  სმ-ის ტოლია).

მეცნიერებამ ჯერ ის აღმოაჩინა, რომ არსებობენ ელექტრომაგნიტური ტალღების ისეთი სახეობანიც, რომელთა ტალღის სიგრძეები ნაკლებია ან მეტი სინათლის ტალღებისაზე, მერე კი ის, რომ ბუნებაში ყველა ამ სახის ტალღები გვხვდება. ტალღის სიგრძის ზრდის მიმართულებით დალაგებული, სულ გამოიკვეთა ელექტრომაგნიტური ტალღების შემდეგი სახეობანი: გამა გამოსხივება, რენტგენული (ანუ X) ტალღები, ულტრაიისფერი გამოსხივება, ხილული სინათლე, ინფრაწითელი ტალღები, რადიოგამოსხივება.

XX საუკუნის II ნახევარში, უმეტესწილად კოსმონავტიკის მიღწევების წყალობით (იგულისხმება დედამიწის ატმოსფეროს გარეთ გატანილი დასამზერი ხელსაწყოებიდან ჩატარებული დაკვირვებანი), აღმოჩენილ იქნა ჩამოთვლილ ტალღის სიგრძეთა დიაპაზონებში გამომსხივარი კოსმოსური ობიექტებიც ანუ წარმოიშვა და განვითარდა გამა ასტრონომია, რენტგენული ასტრონომია, ულტრაიისფერ სხივთა ასტრონომია, ოპტიკური (ან ვიზუალური) ასტრონომია, ინფრაწითელი ასტრონომია

და რადიოასტრონომია. ამათგან ქრონოლოგიურად პირველი სწორედ რადიოასტრონომია იყო, რადგან კოსმოსის სიღრმეებიდან მომავალი რადიოსხივები, სხვა უხილავი ტალღებისგან განსხვავებით, თავისუფლად ახერხებენ დედამიწის ატმოსფეროს განჭოლვას და აღწევენ დედამიწაზე განლაგებულ რადიოტელესკოპებამდე. სახელდობრ, უკვე XX ს-ის შუახანებში იქნა აღმოჩენილი არასტაციონარული ვარსკვლავები, რომლებიც ასხივებენ რადიოდიპაზონში (1 მმ-დან ათეულობით კმ-მდე ტალღის სიგრძეები), ასევე ამავე დიაპაზონში გამომსხივარი რადიოგალაქტიკები და სხვა რადიოობიექტები.

ფიზიკური კანონზომიერებებიდან გამომდინარე, გამოსხივების სპექტრის გარჩევის (სპექტრული დეტალების ერთმანეთისგან გამოყოფის) უნარი  $\lambda/D$  ფარდობაზეა დამოკიდებული, სადაც  $\lambda$  გამოსხივების ტალღის სიგრძეა,  $D$  კი დასამზერი ტელესკოპის ობიექტივის დიამეტრი. რადგან რადიოგამოსხივება გაცილებით გრძელტალღოვანია ოპტიკურ გამოსხივებასთან შედარებით, ერთნაირი გარჩევის უნარის ქონისთვის რადიოტელესკოპთა ზომები გაცილებით მეტი უნდა იყოს ოპტიკურ ტელესკოპებთან შედარებით. თუ გასული საუკუნის შუახანებში 5 მ ზომის ოპტიკური ტელესკოპი უდიდესი იყო მსოფლიოში არსებულ ამ ტიპის ინსტრუმენტებს შორის, იმავე ხანებში ამავე ზომის რადიოტელესკოპები უმნიშვნელოებად ითვლებოდა და ასტრონომიულ სარბიელზე სულ უფრო და უფრო დიდი ზომის რადიოტელესკოპები ჩნდებოდა (უმარტივესი „რადიოტელესკოპი“ წარმოადგენს ლითონის ღეროს, ე.წ. დიპოლს, ან ამგვარ დიპოლთა სისტემას, უფრო გავრცელებული კი არის სფერული ან პარაბოლური ფორმის „თეფშები“). მსოფლიო სახელი მოიხვეჭა, მაგალითად ბონის (გერმანია) 100 მ-იანმა რადიოტელესკოპმა; ჩრდ. კავკასიაში 70-იან წლებში დადგმული 6 მ-იანი, მაშინ მსოფლიოში უდიდესი ტელესკოპის მახლობლად აგებულ იქნა 700 მ-იანი სექტორის ფორმის რადიოტელესკოპი. 60-იანი წლების დასაწყისში კი არესიბოში (პუერტო რიკო) ოდესღაც კოსმოსიდან ჩამოვარდნილი მეტეორიტის მიერ წარმოქმნილ 305 მ-იან კრატერში ჩაიდგა სფერული „თეფში“, რომელმაც

მაღე მსოფლიოში ამ ტიპის უდიდესი რადიოტელესკოპის სტატუსი შეიძინა.

ამ ტელესკოპთან ბოლო ათწლეულების ყველაზე მნიშვნელოვანი რადიოასტრონომიული აღმოჩენებია დაკავშირებული. ისინი ეხებოდა თანამედროვე ასტროფიზიკის ყველაზე გახმაურებულ ობიექტებს – ნეიტრონულ ვარსკვლავებს ანუ პულსარებს, რომლებიც რამდენიმე მზის მასის მქონე ვარსკვლავთა ევოლუციის ბოლო სტადიებია – გრავიტაციული კოლაფსის შედეგად ატომბირთვის სიმკვრივეებამდე შეკუმშული, ზემდღავრი მაგნიტური ველის მქონე, ფანტასტიკურად დიდი კუთხური სიჩქარით მბრუნავი ცხელი სფეროები; შავ ხვრელებს – კიდევ უფრო ზემკვრივ, უფრო დიდმასიან ვარსკვლავთა ნაშთებს, რომლებიც უხილავნი არიან, რადგან ფანტასტიკურად დიდი გრავიტაციული მიზიდულობის გამო მათგან გარე სივრცეში ვერ გამოდის ვერავითარი მატერიალური ნაწილაკი და მათ შორის ვერც სინათლის კვანტები; შორეულ ვარსკვლავთა გარშემო არსებულ, ანუ არამზისიერ პლანეტათა სისტემების მიკვლევას და მათ პარამეტრთა განსაზღვრას, არამიწიერი სიცოცხლის ძიებასა და სხვ. ამ ტელესკოპით იგზავნებოდა რადიონფორმაციები დედამიწის ცივილიზაციის მახასიათებლების შესახებ სამყაროს სიღრმეებში სავარაუდოდ არსებული უცხო ცივილიზაციებისკენ (ქრესტომათიულ ფაქტად იქცა ამ ტელესკოპით რადიოსიგნალთა გაგზავნა M 13 ვარსკვლავთა სფერული გროვისკენ, რომელიც ასეულათასობით ვარსკვლავს და, სავარაუდოდ, პლანეტათა თითქმის ამდენივე სისტემას შეიცავს და ჩვენგან 23 000 სინათლის წლის მანძილზეა განლაგებული). არესიბოს რადიოტელესკოპი მსოფლიო ასტრონომიული სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შენამენი იყო და, ამავე დროს, ამ პატარა ქვეყნის ეროვნული სიამაყის საგანსაც წარმოადგენდა – პუერტო-რიკოს ყველა მოსწავლე თუ მოზრდილი ადამიანი სიცოცხლეში ერთხელ მაინც თავს ვალდებულად თვლიდა სწვეოდა ამ სახელგანთქმულ ტელესკოპს და მის ბაზაზე აღმოცენებულ ობსერვატორიას, და ეს სტუმრობა ხშირად მათ პროფესიულ მომავალსაც განსაზღვრავდა.

და აი, ყველასთვის (ანუ მთელი მსოფლიოს მეცნიერული სამყაროსთვის) სრულიად მოულოდნელად, 2020 წელი ბოლო გამოდგა ამ შესანიშნავი და სახელმოსხვეჭილი ინსტრუმენტისთვის. ამ წლის 1 დეკემბერს მისი 900-ტონიანი ინსტრუმენტული პლატფორმა მოწყვეტით დაენარცხა ამ ტელესკოპის მთავარ 305 მ დიამეტრიან ლითონის დისკოს (თეფშს), რითაც ბოლო მოულო ინსტრუმენტსაც და მისი მეშვეობით მიმდინარე მსოფლიო დონის კვლევებსაც. ეს იყო ბოლო აკორდი იმ უსიამოვნებებისა, რომლებიც ამ ტელესკოპთან დაკავშირებით იმავე წლის 10 აგვისტოს დაიწყო, და რომელსაც მოცული ჰყავდა ამ ობსერვატორიის 130-მდე თანამშრომელიც, მის კვლევათა დამფინანსებელი და წარმმართველი ეროვნული სამეცნიერო ფონდიც, მთელი პუერტო-რიკოც და მსოფლიოს ასტრონომიული საზოგადოებრიობაც. ეს იყო დიდი დანაკლისი მსოფლიო მეცნიერებისთვის. მიმდინარეობდა მუდმივი დაკვირვება პროცესზე, ირჩეოდა და ანალიზდებოდა ჯერ ამ შესამედი მილიარდი დოლარის ღირებულების ინსტრუმენტის გადარჩენის, მერე კი მისი ღირსეული მემკვიდრით შეცვლის შესაბამის ღონისძიებათა დეტალები, სათანადო ფინანსური პრობლემის სხვადასხვა ასპექტები, ობსერვატორიაში მიმდინარე კვლევათა მიმართულებების შესაძლო კორექციის საკითხი და ა.შ. უმნიშვნელო არც მომხდარი ტრაგედიის მიზეზთა თუ მისი აცილების შესაძლებლობის განხილვა იყო.

ამ დასანანი მოვლენის ანალიზი მოცემულია ჟ. „Science“-ს 2021 წლის 15 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ მიმოხილვით ნაშრომში „დაცემული გიგანტი“ (ავტორი დ. კლეერი), რომლის მთავარი ასპექტები მინდა გავაცნო „ასტრონომიული კალენდრის“ მკითხველებს. შევხები ზოგ კონკრეტულ დამახასიათებელ საინტერესო დეტალსაც.

წერილი იწყება იმის აღნიშვნით, რომ 2020 წლის 10 აგვისტოს არესიბოს ობსერვატორიის დოქტურანტურაგავალიდი ასტრონომი ს. ვადი მუშაობდა ამ ტელესკოპზე, კერძოდ სახლიდან აკვირდებოდა შორეულ გალაქტიკა NGC 7469-ს, რომლის ცენტრში ორი ზემასიური შავი ხვრელი ბრუნავდა ერთმანეთის ირგვლივ (ავტომატიზირებულობის და კომპიუტერიზაციის დღე-

ვანდელ დონეზე ყოფნა უშუალოდ ობსერვატორიაში აუცილებელი აღარაა – დაკვირვების თვალთვალში შესაძლებელია საკმარისი დაშორებული პუნქტებიდანაც). მას აინტერესებდა, ზრდის თუ არა შავ ხვრელთა შერწყმა გალაქტიკის ნათებას. მაგრამ როცა დაკვირვების დასრულების მოახლოებისას შეამოწმა პროცესი, აღმოჩნდა, რომ ტელესკოპი საერთოდ აღარ იყო მიმართული დასამზერი გალაქტიკისკენ.

როგორც გამოირკვა, 8 სმ სისქის ფოლადის გვარდი, ერთ-ერთი იმ 18-დან, რომლებსაც 900-ტონიანი პლატფორმა ეკავათ „თეფშის“ ზემოთ, ამოვარდა მისი ფოსოდან ერთ-ერთ მხარეს, და ჩავარდა თეფშისკენ. ტელესკოპი მწყობრიდან გამოვიდა: „NGC 7469-დან შეკრებილი ფოტონები ბოლო გამოდგა იმათგან, რომელთა მიღება „ეწერა“ მას ციურ სხეულთაგან“.

სამი თვის მერე, 2020 წლის 27 ნოემბერს, გააწყდა მეორე კაბეული და სამეცნიერო ფონდმა განაცხადა, რომ შეკეთება საშიში იყო – ტელესკოპი უნდა დაეშალათ. 1 დეკემბერს კი დანარჩენი ბაგირებიც დაწყდნენ და, როგორც დასაწყისშივე ითქვა, მასიური პლატფორმა რადიოტელესკოპის თეფშს დაასკდა.

ბუნებრივია, ჯერ მომხდარის მიზეზების კვლევა დაიწყო. ზოგი ინჟინერი თუ ასტრონომი მრავალი მიწისძვრის ან გრიგალის გადამტანი კომპლექსის კატასტროფას წარმოების წუნს ან ტროპიკულ კოროზიას მიაწერდა. ზოგი ბრალს სდებდა ფონდის ასტრონომიულ განყოფილებას, რომელიც ეკონომიის გზით ახალი ინსტრუმენტის შესაძენად სახსრების დაზოგვას ცდილობდა 10 წლის განმავლობაში. მაგრამ მალევე გამოივლოვეს დანაკარგი და დაიწყო ფიქრი მდგომარეობის გამოსწორებაზე. 2020 წლის ბოლოს მკვლევრებმა, არესიბოს ასტრონომიულ კოლექტივთან ერთად, ფონდს გაუგზავნეს აღწერილობანი 400 მილიონი დოლარი ღირებულების ტელესკოპისა, რომელიც იმავე ადგილას უნდა დაიდგას, და რომელსაც „ძველ“ ტელესკოპთან შედარებით უფრო მეტი კვლევითი შესაძლებლობანი ექნება.

საინტერესო ისტორია აქვს არესიბოს „დაცემულ“ გიგანტურ რადიოტელესკოპს. მისი შექმნა გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში სულაც არ ყოფილა ასტრონომიასთან და-



კავშირებული, არამედ მიზნად ისახავდა რადარების საშუალებით იონოსფეროში საბჭოთა კავშირიდან გაშვებული შესაძლო რაკეტების ნაკვალევის აღმოჩენას (ეს დედამიწის ატმოსფეროს გარეთა, ზედა ნაწილია, სადაც მზისიერი გამოსხივება ჰაერის მოლეკულებს აიონიზებს). შესაბამისად იგი პენტაგონის მოწინავე კვლევათა სააგენტოს შეუქმნია. უზარმაზარ ბუნებრივ კრატერში „ჩადგმული“ ეს თევზი თავისთავადაც დიდ რადარად მიიჩნეოდა. შემდეგ სამეცნიერო ფონდმა გაამრავალფეროვნა მისი კვლევითი შესაძლებლობანი; თავდაპირველი მავთულხლართიანი ზედაპირი ალუმინის პანელებით შეცვალეს, რამაც შესაძლებელი გახდა დაკვირვებანი უფრო მაღალ სიხშირეებზე. ნახამ კი დაამატა უფრო მძლავრი რადიოაპარატურა, რომელსაც შეეძლო აღმოეჩინა დედამიწისთვის საშიშ მანძილებზე მოახლოებადი ასტეროიდები, ასევე გაეგზავნა სიგნალები შესაძლო ვარსკვლავიერი ცივილიზაციებისკენ. შემდგომმა უნიკალურმა აღმოჩენებმა გაამყარეს ტელესკოპის რეპუტაცია. საქმე ეხებოდა ორმაგ პულსართა სისტემების შესწავლას, რომელთა უმნიშვნელოდ მიღებადი იმპულსები ამ ობიექტების მიერ გრავიტაციული ტალღების გამოსხივებაზე მეტყველებდნენ; ვენერას ღრუბლებით დაფარული და ოპტიკური დამზერისთვის მიუწვდომელი ზედაპირის რადარული რუკების შედგენას, რამაც ვულკანურ პროცესებზე მიანიშნა; არამზისიერ პირველ პლანეტათა აღმოჩენებს და სხვ.

არესიბოს „რადიოთევზის“ ზედაპირი, მსოფლიოს სხვა მრავალი პარაბოლური სარკისგან განსხვავებით, სფერული ფორმისაა, რაც საშუალებას იძლევა დავაფიქსიროთ ციური რადიოობიექტი, რომელიც ზუსტად ზენიტში არაა, მიუხედავად იმისა, რომ თვით თევზის სიმეტრიის ღერძი ცის უმაღლეს წერტილში გადის და მას ცის სხვადასხვა წერტილებისკენ ვერ მივმართავთ. მაგრამ, სამაგიეროდ, ეს ინსტრუმენტი შემაკვალ სხივებს წირზე აფოკუსირებს და არა წერტილში. 1997 წელს დაუდგამთ დამატებითი რეფლექტორები რადიოსივთა ერთ წერტილში ფოკუსირებისათვის, რომელშიც შეიძლებოდა დადგმულიყო მრავალსიხშირიანი დეტექტორები და რადიოგადამცემები. როგორც აღნიშნავს რ. კერი, რომელსაც ბოლო

15 წელიწადში ორჯერ ეკავა ამ ობსერვატორიის დირექტორის პოსტი, ამან ინსტრუმენტი „სულ სხვა ტელესკოპად აქცია“, და ამ უკანასკნელმა წამყვანი როლი შეასრულა NANOGrav პროექტში 2007 წლიდან. საქმე ეხებოდა გრავიტაციული ტალღებით გამოწვეული პულსართა რხევების თვალთვალს. არესიბომ დაიწყო რადიოანთების – მოკლე და სწრაფი აფეთქებების ძიება, რაც რადიოასტრონომიის ერთ-ერთი უდიდესი გამოცანა იყო. 2016 წელს მან დააფიქსირა პირველი აფეთქება, რომელიც შემდგომში განმეორდა, რითაც ცხადი გახდა, რომ აფეთქება არ ანადგურებს მის გამომწვევე უცნობ ობიექტს. მთავარ კანდიდატად კი ძლიერ დამაგნიტებული ნეიტრონული ვარსკვლავები ითვლებოდა. ყოველ წელს მნიშვნელოვანი ახალი აღმოჩენა იყო – იხსენებს ჯ. შმელცი – დირექტორის მოადგილე 2015-2018 წლებში. საინჟინრო პერსონალმა გააანალიზა, რამდენად საიმედო იყო ტელესკოპის მდგრადობა. წინა ათწლეულებში ტელესკოპის ბაზირები 2-ის ტოლი (ანუ არასაკმარისი) უსაფრთხოების ფაქტორით იყო დამზადებული. ამიტომ დატვირთვები კრიტიკულზე ნაკლები უნდა ყოფილიყო. ინსტრუმენტულ პლატფორმას კი ახალ-ახალი მოწყობილობები ემატებოდა, რამაც მისი წონა კიდევ 300 ტ-ით გაზარდა. დაუმატებიათ დამჭერი ბაზირებიც, მაგრამ მდგომარეობა როგორც ჩანს, მაინც კრიტიკული გახდა და აგვისტოში ერთ-ერთი დამატებულ ბაზირთაგან გაწყდა.

შემდეგ თვეებში საინჟინრო ფირმა ცდილობდა მდგომარეობის შეფასებას. რემონტირებასაც აპირებდნენ, მაგრამ ვერ რისკავდნენ ხალხის შეშვებას კოშკებსა თუ პლატფორმაზე. ყველაფერი კი 1 დეკემბრის გამოუსწორებელი კატასტროფით დასრულდა.

როცა პირველმა შოკმა ასე თუ ისე გაიარა, მენეჯერებმა ობსერვატორიის თანამშრომლებს და გარე მკვლევარებს 3 კვირა მისცეს ახალი პროექტის მოსაფიქრებლად. ივარაუდება ისეთი სისტემის განვითარება, რომელიც გადააჭარბებს აქამდე არსებული ტელესკოპის შესაძლებლობებს და მეცნიერების განვითარების წინა რიგებში იქნება შემდგომი 50 წლის მანძილზე, ამასთან დაჯდება 400 მლნ დოლარზე ნაკლები.

მკვლევრები ჯერ განიხილავდნენ ახალ უძრავ „თევზს“, რომლის გასწვრივ უფრო მცირე ზომისა და დამოუკიდებლად მართვადი თევზების მასივი იქნებოდა. მაგრამ მერე მოიფიქრეს რაღაც უფრო ამბიციური: ბრტყელი, 300 მ სიგანის მტკიცე პლატფორმა, ხიდით გაერთიანებული კრატერთან და 1000-ზე მეტი მჭიდროდ ჩაწყობილი 9-მეტრიანი თევზით აღჭურვილი. საკუთრივ თევზები უმოძრაოდ უნდა იყოს, დისკო კი მართვადი – შესაძლებელი იქნება იგი დახრილ იქნას ჰორიზონტისადმი 45°-ზე მეტად. ამ ექსტრემალური დახრისას, დისკოს ერთი კიდე „ძველი“ არესიბოს საყრდენ კოშკებზე მაღლა აიწვევა.

ამ პროექტის მიხედვით, თითოეულ თევზში ჩადგმული თანამედროვე მიმღებები დაფარავენ უფრო ფართო სისწორულ არეს, ვიდრე მისი წინამორბედი, და ერთობლივი ჩართვისას, 1000 თევზის სრულ (კრებით) რაღარს შეეძლება გაგზავნოს უფრო მძლავრი გამოსხივება, ვიდრე ეს შეეძლო ერთ რადიოგადამცემს. ეს, ე.წ. მომდევნო თაობის არესიბოს ტელესკოპი დაახლოებით ორჯერ უფრო მგრძნობიარე იქნება, და ოთხჯერ უფრო მეტ სიმძლავრეს გადასცემს აქამდე არსებულ ტელესკოპთან შედარებით. მოძრავი პლატფორმა მას შესაძლებლობას მისცემს მოიხილოს მთელი ცის ორჯერ უფრო მეტი ნაწილი, ვიდრე ეს შეეძლო მის წინამორბედს, რადგან მისი 1000 თევზის მიხედვით ველი 500 ჯერ დიდი იქნება წინამორბედისაზე.

ექსტრემალური დახრა გამიზნული იყო ხედვის ველში ჩვენი გალაქტიკის ცენტრში არსებული ზემასიური შავი ხვრელის მოსაქცევად. 2020 წლის ნობელის პრემია ფიზიკაში ნაწილობრივ მიენიჭათ ასტრონომებს, რომლებმაც გალაქტიკის გულის აირ-მტვრის ნისლის მიღმა შეამჩნიეს შავი ხვრელის ირგვლივ მოძრავი ვარსკვლავის ნაკვალევი (ორბიტა). რადიოასტრონომებს რომ ამავე ორბიტაზე მოძრავი პულსარი აღმოეჩინათ, მისი ბრუნვის მიხედვით შეეძლებდნენ უხილავი ხვრელის გრავიტაციული ველის დეტალურ გამოკვლევას. ეს საუკეთესო ზონდირება იქნებოდაო, ამბობს პროექტის ერთი ავტორთაგანი.

მაგრამ ზოგი მკვლევარი ყოველივე ამას ოცნებად მიიჩნევს. სამეცნიერო ფონდისა და კონგრესის წევრები მთავარ ასტროფიზიკურ პროექტთა შერჩევისას ტრადიციულად ათეულწლო-

ვან მეცნიერულ კვლევათა შემაჯამებელ მიმოხილვებს ეყრდნობიან ხოლმე, ასე რომ საკითხი შეიძლება უახლოესმა ანალოგიურმა მიმოხილვამ გადაწყვიტოს. ზოგი მეცნიერი იმედოვნებს, რომ გამორიცხული არაა კონგრესმა დამატებითი ფონდიც გამოყოს გამორჩეული პროექტებისთვის (პუერტო რიკო, რომელიც აშშ-ს სამფლობელოს სტატუსითაა ცნობილი, საკუთარ თავს აშშ-ს შემადგენლობაში ნებაყოფლობით შემაგავს სახელმწიფოდ მიიჩნევს. მას კონგრესში საკუთარი წარმომადგენელი ჰყავს). ასე მოხდა 1988 წელს, როცა გრინ ბენკის ობსერვატორიის 90 მეტრიანი რადიოტელესკოპის არანაკლებ გახმაურებული კატასტროფის (გიგანტური თევზის დამსხვრევის) გამო დასავლეთ ვირჯინიის გავლენიან სენატორს უზრუნია ინსტრუმენტის აღდგენაზე, რასაც მოჰყვა 2000 წელს ამავე ობსერვატორიაში მსოფლიოში უდიდესი მოძრავი (მართვადი) რადიოტელესკოპის (რადიოთევზის) შექმნა.

ახალი ტელესკოპის შექმნის მომხრენი კერძო ფირმებთანაც ცდილობენ ნიადაგის მოსინჯვას. პუერტო რიკოს მმართველს გამოუყვია 8 მლნ დოლარი ადგილის გაწმენდისა და ცვლილებების დაგეგმვისთვის. ობსერვატორიის თანამშრომლები ფრთხილ ოპტიმიზმს ინარჩუნებენ, თუმცა ხვდებიან, რომ მდგომარეობა მალე ვერ გაუმჯობესდება. მკვლევრები კი, რომელთა მუშაობა უშუალოდ ამ ტელესკოპის მეშვეობით განსახორციელებელ დაკვირვებებზე იყო გათვლილი, ჯერჯერობით იძულებულნი არიან სხვა, ნაკლებეფექტურ ინსტრუმენტებზე გადაერთონ.


აი ასე, დრამატულად დასრულდა არესიბოს სახელგანთქმული ობსერვატორიის და მისი რადიოტელესკოპის ისტორიის ერთი სახელოვანი მონაკვეთი.

## ცვალებადი მზე

### ბიძინა ჩარბიუშილი


მზე დედამიწაზე სიცოცხლის ენერჯით მასაზრდოებელი უმთავრესი წყაროა. მეცნიერული შეფასებით მისი ასაკი ოთხნახევარ მილიარდ წელს ითვლის და კიდევ ერთი ამდენი უნდა ემსახუროს პლანეტათა იმ სისტემას, რომელსაც ჩვენ მზის სისტემას ვუწოდებთ. სამყაროში უამრავ ვარსკვლავთა შორის მზის განსაკუთრებულობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჩვენი მშობლიური დედამიწის მასპინძელი ვარსკვლავია და მის გარეშე კაცობრიობის არსებობა სრულიად წარმოუდგენელია. ერთი შეხედვით მზის გამოკვეთილი სფერული ფორმა გამოუცდელ თვალს უტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მისი ფიგურა სწორედ ხილული ზომებით შემოიფარგლება. სინამდვილეში, რასაც თვალთ ვხედავთ, რეალურად ე.წ. ფოტოსფეროს წარმოადგენს. მზე კი მთლიანობაში გავარვარებული აირის, ე.წ. პლაზმის სფეროა. პლაზმა ეს აირის ის მდგომარეობაა, რომელშიც ატომების ქაოსური მოძრაობის სიჩქარეები ან მაღალ-სიხშირიანი გამოსხივების ინტენსიურობა იმდენად მაღალია, რომ ურთიერთდაჯახებების ან ფოტონთა შთანთქმის შედეგად ატომთა საგრძნობი ნაწილი იონიზებულია. აქედან გამომდინარე პლაზმა ჩვეულებრივი აირისგან განსხვავებული თვისებებით ხასიათდება, რაც იონიზებული ატომებისა და თავისუფალი ელექტრონების ელექტრულ და მაგნიტურ ველებთან ურთიერთქმედებით არის გამოწვეული. მზის ენერჯის საწყისი წყარო სწორედ მისი შემადგენელი პლაზმის თვითგრავიტაციით კუმშვაა. თვითგრავიტაციით პლაზმის შემცველი სფეროს კუმშვისას მისი ტემპერატურა სფეროს ცენტრალურ არეში იზრდება, და რადგან სითბოს სხივური გადაცემა ვერ ასწრებს სითბური ენერჯის გამოთავისუფლებას, ირთვება ე.წ. თერმობირთვული სინთეზის რეაქცია. მაღალი ტემპერატურის გამო წყალბადის ატომები (რომლებისგანაც ძირითადად შედგება მზე) იმდენად სწრაფად ეჯახებიან ერთმანეთს, რომ მათი

ბირთვები ერთიანდებიან ერთი ახალი ელემენტის, ჰელიუმის ბირთვად და პარალელურად გამოიყოფა ჭარბი ენერგია. თერმობირთვული რეაქციის შედეგად გამოყოფილი ენერგია ნაწილობრივ ელემენტარული ნაწილაკების – ნეიტრონების სახით, დიდი ნაწილი კი გამოსხივების სახით ტოვებს თერმობირთვული რეაქციის ზონას. ნეიტრონები ნივთიერებასთან უაღრესად მცირე ურთიერთქმედების უნარის გამო ფაქტობრივად წინააღმდეგობის გარეშე ტოვებენ მზეს და ვრცელდებიან კოსმოსში. გამოსხივებული ენერგიისთვის კი გარკვეული სიმაღლიდან წარმოიქმნება ისეთი პირობები, რომ ამ ფენებიდან ენერგია კონვექციით ამოდის მზის ხილულ ზედაპირულ ფენაში – ფოტოსფეროში. კონვექცია აირის ნაწილების მექანიკური მოძრაობით სითბური ენერგიის გადატანის პროცესია. ფოტოსფეროს შემდეგ სითბური ენერგია ძირითადად გამოსხივებით ტოვებს მზეს.



ფოტოსფეროთი არ მთავრდება მზის ფარგლები. ფოტოსფეროს თხელი ფენის ზემოთ არის შედარებით სქელი ქრომოსფერო, შემდეგ კი ყველაზე ვრცელი გვირგვინი. ამ ატმოსფერული ფენების კონფიგურაცია ძირითადად განსაზღვრულია მზის წიადიდან ამომავალი მაგნიტური ველებით. საქმე იმაშია, რომ არამხოლოდ სითბოსა და ელემენტარული ნაწილაკების სახით


ხდება ენერჯის ამოღინება მზის წიაღიდან, არამედ ტალღური პროცესებითა და, რაც ყველაზე საინტერესოა, მაგნიტური ველების ნაკადებით. მაგნიტური ველის წარმოქმნა და გაძლიერება ხდება მზის წიაღში იონიზებული აირის კონვექციური და არათანაბარი, დიფერენციალური ბრუნვითი მოძრაობების კომბინაციით, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში მზის ალფა-ომეგა ( $\alpha$ ) დინამოს სახელით არის ცნობილი. აქ ალფა ( $\alpha$ ) ლათინური ასოების ფორმის გამო გამოიყენება კონვექციური მოძრაობებით მაგნიტური ველის ძალწირების გრების აღსაწერად, ხოლო ომეგა ( $\omega$ ) ის ლათინური ასოა, რომლითაც მზის დიფერენციალური ბრუნვის ზომას აღწერენ. აქვე აღვნიშნოთ, რომ მზე არ ბრუნავს როგორც მყარი ტანი, არამედ დიფერენციალურად. ეკვატორზე ბრუნვის პერიოდი 25 დღეა, პოლუსების მიმართულებით მატულობს და პოლუსთა სიახლოვეს 30 დღეა. დიფერენციალური ბრუნვა იწვევს მაგნიტური ველების გაჭიმვას. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ალფა-ომეგა დინამო გულისხმობს მაგნიტური ველის გაჭიმვითა და გრეხვით მის გაძლიერებასა და გენერაციას.



თუ უფრო არაწარმოსახვითი მაგნიტური ძალწირების ენაზე აღვწერთ პროცესს, აქ ხდება მზეზე სხვადასხვა დინებების მექანიკური ენერჯის მაგნიტურ ენერჯიად გარდაქმნა ელექტრო-მაგნიტური ველების მაქსველისეული კანონების მოქმედებით. ნეიტრალური აირის შემთხვევაში ეს შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ უკვე ვიცით, რომ მზე წარმოადგენს გავარვარებულ პლაზმას და მისი ნაწილების რთული ურთიერთმოძრაობები

იწვევს ელექტრული დენების აღძვრას, რაც თავის მხრივ წარმოშობს მაგნიტურ ველს.

არის მასების მოძრაობები მზეზე მხოლოდ მცირე მასშტაბებში შეიძლება მოგვეჩვენოს და იყოს შემთხვევითი. მსხვილ მასშტაბში კი რეგულარული მოძრაობები შეიმჩნევა. ეს არის მზის დიფერენციალური ბრუნვა და მერიდიანული დინებები. მზის სფეროს ის სიღრმე (ე.წ. ტაქოკლინი, კონვექციური ზონის ქვეშ), სადაც ხდება ძირითადად მაგნიტური ველის გენერირება, დიფერენციალური ბრუნვის პარამეტრები და მერიდიანული დინებების კონფიგურაცია განსაზღვრავენ მაგნიტური ველის გენერაციის ციკლურობას გარკვეული პერიოდებით. საყოველთაოდ ცნობილი პერიოდი არის 11 წელი, რომელიც ყველაზე აშკარად მზეზე ლაქების რაოდენობის ცვლილებით ვლინდება. ლაქა წარმოადგენს მზის ზედაპირზე ამოტივტივებული მაგნიტური ველის მარყუჟის ფეხებს ანუ იმ ადგილებს, სადაც მაგნიტური მარყუჟი მზის ხილულ ზედაპირს განჭოლავს. მაგნიტური ველი სწორედ მარყუჟების და მაგნიტური მილაკების სახით არის მზის ზედაპირზე. ლაქები ყველაზე ძლიერი მაგნიტური ნაკადის მქონე ადგილებია.



გარდა ლაქებისა მზის ატმოსფეროს მაღალ ფენებში – ქრომოსფეროსა და გვირგვინში მრავალი სხვადასხვა მაგნიტური წარმონაქმნი შეინიშნება. უმეტესობა ასევე ავლენს ციკლურო-



ბას. მაგნიტური ველი ხასიათდება ე.წ. პოლარობით. ძალწირების ენაზე, საპირისპირო მიმართულების ძალწირებს აქვთ საპირისპირო პოლარობა. უმეტესწილად დროის მოცემულ მომენტში მზის სხვადასხვა ნახევარსფეროში დომინირებს ან ამომავალი ან ჩამავალი ძალწირები. მზის პოლუსზე მაგნიტური ველის პოლარობა, როგორც წესი, ემთხვევა შესატყვის ნახევარსფეროში ბრუნვის მიმართულებით წინ მყოფი ლაქის პოლარობას, მაშინ როცა უკანმდები ლაქის პოლარობა ყოველთვის საპირისპიროა, და ეს ბუნებრივიცაა, თუ გავისხენებთ, რომ ისინი საერთო მარყუჟის ამომავალ და ჩამავალ ფეხებს წარმოადგენენ. მზის ლაქების რიცხვის გარდა ყოველ 11 წელიწადში იცვლება მზის პოლუსების პოლარობაც. ამ გაგებით მზე ასევე ახასიათებს ციკლურობის 22-წლიანი პერიოდი, რაც მზის ნახევარსფეროების პოლარობის განმეორებადობას ასახავს. ეს რომ 11-წლიანი პერიოდის უბრალო ნამრავლი არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ დედამიწაზე მრავალ პროცესში აღმოჩენილია მზის ეს 22-წლიანი პერიოდი და მრავალ შემთხვევაში მათში 11-წლიანი პერიოდი არ ვლინდება. თვით მზეზე კი, გარდა მაგნიტური ველისა, აღინიშნება სამხრეთ-ჩრდილოეთ პოლუსების ასიმეტრიულობის 22-წლიანი განმეორებადობა. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მკვლევართა ჯგუფმა ჩვენს ობსერვატორიაში წარმოებულ დაკვირვებებზე დაყრდნობით აღმოაჩინა სამხრეთ და ჩრდილოეთ ნახევარსფეროებში საშუალო ბრუნვის სიჩქარეებზე ჭარბი სიჩქარეების ნახევარსფეროებს შორის სხვაობის პერიოდული ცვალებადობა (Gigolashvili et al., 2003). ნაშრომში ეს ახსნილი იყო სხვადასხვა ნახევარსფეროების ბრუნვითი მოძრაობის გასწრებისა და ჩამორჩენის ცვალებადობით. ეს კი ფაქტობრივად 1980 წელს ჰოვარდისა და ლაბონტეს მიერ (Howard & Labonte, 1980) აღმოჩენილი მზის ტორსული რხევების დადასტურებაც იყო. ტორსული რხევები, იგივე დინამო ტალღები პირველად ნახსენები იყო პარკერის შრომაში (Parker 1955), სადაც ის აღწერდა დიფერენციალური ბრუნვითა და კონვექციურ ზონაში სპირალური ტურბულენციით დინამოს გამოვლინებას დინამო ტალღების მიგრაციით.

გარდა აღნიშნული პერიოდულობისა, მზეს ახასიათებს უფრო გრძელი პერიოდებიც, რაც გამოიხატება 11-წლიან პერიოდთა მაქსიმუმების ცვლილებით. ეს ციკლებია: გლაისბერგის ციკლი (80-100 წ), დე ფრისის ციკლი (210 წ), ჰალსტატის ციკლი (2400 წ) და სავარაუდო ციკლი პერიოდით 6000 წ. ასე რომ, ჩვენი მუდმივი ენერჯის წყარო – მზე არც ისე სტაბილურია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, და განიცდის თვალის უხილავ, მაგრამ მნიშვნელოვან ცვლილებებს. ეს ცვლილებები რომ მნიშვნელოვანია, კარგად ჩანს მეცნიერების მიერ მზეზე მიმდინარე ცვლილებების დედამიწაზე, მის ატმოსფეროზე, ბიოსფეროსა და პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე გავლენების შესწავლის შედეგებიდან. საბედნიეროდ, მზეზე მიმდინარე ცვლილებები ხასიათდება პერიოდულობით და ზემოაღნიშნულ პერიოდთა შემდეგ მზე კვლავ იმეორებს თავის ადრინდელ მდგომარეობებს. ანუ „უცვლელია“ მისი ცვალებადობა. ყოველ შემთხვევაში, განვლილი მდგომარეობანი მეორდება მრავალი ათასწლეულის განმავლობაში.

მზეზე მიმდინარე ფიზიკური პროცესები, გარდა იმისა, რომ მათ უკვე დიდი გარჩევით ვაკვირდებით როგორც დედამიწაზე ბაზირებული, ისე კოსმოსურ სადგურებზე განთავსებული ტელესკოპებიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გეოსფეროსა და ბიოსფეროზე. ჯერჯერობით ყველა მექანიზმი ცნობილი არ არის, მაგრამ მზე ჰელიოსფეროში მოქცეულ პლანეტებზე და კერძოდ დედამიწაზეც, გარდა გამოსხივებისა, ზემოქმედებს მისგან გამოტყორცნილი მაღალენერჯული ნაწილაკებითაც. გარდა ნეიტრალური ელემენტარული ნაწილაკების – ე.წ. ნეიტრინოებისა, დედამიწამდე აღწევს დამუხტული ნაწილაკების ნაკადებიც, რომელთა მომართველი მზის მაგნიტური ველია. მზის მაგნიტური ველები კლასიფიცირდება მსხვილ- და წვრილმასშტაბიან ველებად. მსხვილმასშტაბიანი მაგნიტური ველის გამოვლინებას მზის გვირგვინში წარმოადგენენ ე.წ. გვირგვინის ხვრელები. ეს არის გარემოსთან შედარებით ბნელი არეები მზის გვირგვინის ზედაპირზე. რეალურად კი ისინი წარმოადგენენ მსხვილმასშტაბიან ღია მაგნიტურ კონფიგურაციაში მოქცეულ გარემოსთან

შედარებით დაბალი ტემპერატურის მქონე პლაზმას, რომელსაც გამოსხივების გაცილებით დაბალი ინტენსივობა აქვს მის გარემომცველ დახურული კონფიგურაციის მაგნიტურ მარყუჟებში მოქცეულ პლაზმასთან შედარებით. მათ უწოდებენ მზის ღია ფანჯრებს კოსმოსში. გვირგვინის ხვრელების მაგნიტური ველის გასწვრივ ჩქარი ნაწილაკები ტოვებენ მზეს, მიემართებიან გარემომცველი პელიოსფეროსკენ და წარმოქმნიან ე.წ. მზისიერ ქარს. მზისიერი ქარი აღწევს ასევე დედამიწის მაგნიტოსფერომდე და დამუხტული ნაწილაკების მაგნიტურ ველთან ურთიერთქმედებით აშფოთებს მას. ეს შეშფოთება ხდება მეტ-ნაკლები ინტენსივობით, და როცა ის ინტენსიურია, მას მზის ქარიშხალს უწოდებენ. მზის ქარიშხალს დამახინებელი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს კოსმოსურ აპარატურაზე, ასევე მაღალი სიზუსტის ელექტრონულ ხელსაწყოებზე და ადამიანების ჯანმრთელობაზეც კი. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მზის ქარიშხლის და ზოგადად მზეზე მიმდინარე მოვლენების პროგნოზირებას. ასეთი პროგნოზირებისთვის, რა თქმა უნდა, დეტალურად უნდა ვიცოდეთ მზეზე მიმდინარე მოვლენების ფიზიკური არსი, რაშიც დაკვირვებები გვეხმარება. უკვე ასწლეულებია, რაც მზეზე დაკვირვებები მიმდინარეობს დედამიწიდან და სწორედ მათი მეშვეობით გახდა ცნობილი მზის ცვალებადობის პირველი კანონზომიერებები. ამჟამად კი დედამიწაზე ბაზირებული ტელესკოპების კვალდაკვალ მონაცემთა ბაზები მნიშვნელოვანწილად შეავსო კოსმოსურ სადგურებზე განთავსებული ტელესკოპების უწყვეტმა და მაღალი გარჩევის მქონე დაკვირვებებმა. აბასთუმნის ობსერვატორიაში მკვლევართა ჯგუფები ინტენსიურად იყენებენ კოსმოსური დაკვირვებების მონაცემებს მზეზე მიმდინარე პროცესების შესასწავლად. მზის მაგნიტური ველის ევოლუციის შესწავლის მიზნით მკვლევართა ჯგუფმა ჩაატარა სამეცნიერო პროექტების სერია. იმისთვის, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მზის გვირგვინის მაგნიტური წარმონაქმნების სივრცულ-დროითი ევოლუციის კვლევა მზის მთელ ხილულ დისკოზე, შესწავლილი იქნა გვირგვინისთვის დამახასიათებელი დისკოს კიდეზე გაკაშკაშების კანონზომიერებები (Chargeishvili et al, 2019). დადგინდა, რომ მზის დისკოს კი-

დეზე გვირგვინის გაკაშკაშების ეფექტიც დამოკიდებული არის მზის აქტიურობის ციკლურობაზე და ამის გათვალისწინებით შემუშავებული იქნა ამ ეფექტის მოხსნის ორიგინალური მეთოდი. მიღებული შედეგების გამოყენებით შესწავლილი იქნა მზის გვირგვინში აქტიური რეგიონების (მსხვილმასშტაბიანი კაშკაშა არეები მზის გვირგვინში) სივრცულ-დროითი განაწილება (Maghradze et al, 2019). მისი ამსახველი დიაგრამა გარკვევით აჩვენებს 11-წლიან და 22-წლიან ვარიაციებს და მზის ლაქებისა და მაგნიტური ველების ე.წ. პეპლისებრი დიაგრამების მსგავსია. ასევე შესწავლილი იქნა გვირგვინის კაშკაშა წერტილების (მცირე აქტიური არეები, შედგენილი ერთი ან რამდენიმე მცირე მაგნიტური მარყუჟისგან) განედური განაწილების დროითი ევოლუცია (Tsinamdzghvishvili et al, 2021) და აღმოჩენილი იქნა კაშკაშა წერტილების მოჭარბებული სიმკვრივის კვალის მჭიდრო კორელაცია მზის ტორსულ რხევებთან. ამან მკვლევარებს საშუალება მისცა კაშკაშა წერტილების სიმკვრივის მოჭარბება აესხნათ ადგილზე ლოკალური მაგნიტური დინამოს გაძლიერებით. საინტერესო შედეგები არის მიღებული გვირგვინის ხვრელების განედური განაწილების დროითი ევოლუციის შესწავლისას (Maghradze et al, 2021). დადგინდა, რომ ხვრელების აქტიურობის ცენტრი მიგრირებს მზის ერთ-ერთი პოლუსიდან ეკვატორის გავლით საპირისპირო პოლუსისკენ და წინა კვლევებზე დაყრდნობით სავარაუდოა, რომ საპირისპირო პოლარობის გვირგვინის ხვრელების აქტიურობის ცენტრები უნდა მიგრირებდნენ ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ კოსმოსურ ხომალდებზე მოთავსებული ასტრონომიული ხელსაწყოებით მოწოდებული უწყვეტი დაკვირვებები საუკეთესო საშუალებაა ჩვენი მზის ცვალებადი ბუნების შესწავლისთვის. ამავდროულად ძალიან მნიშვნელოვანია დედამიწაზე ბაზირებული მაღალი სიზუსტის მქონე ტელესკოპებით განხორციელებული დაკვირვებების კოსმოსურ დაკვირვებებთან შეჯერება. ამ მხრივ აბასთუმნის ობსერვატორიაში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს არსებული ტელესკოპების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გამართვისა და ახალი ტელესკოპების მშენებლობისათვის.

## ლიტერატურა

Gigolashvili M. Sh.; Mdzinarishvili T. G.; Japaridze D. R.; Chargeishvili B. B., 2003, *New Astronomy*, Volume 8, Issue 6, p. 529-536

Howard R. and Labonte B. J., 1980, *ApJL*, 239, L33

Parker E. N., 1955, *ApJ*, 122 293.

Chargeishvili B. B.; Maghradze D. A.; Japaridze D. R.; Oghrapishvili N. B.; Mdzinarishvili T. G.; Chargeishvili K. B.; Shergelashvili B. M., 2019, *Advances in Space Research*, Volume 64, Issue 2, p. 491-503.

Maghradze D. A.; Chargeishvili B. B.; Japaridze D. R.; Oghrapishvili N. B.; Mdzinarishvili T. G.; Chargeishvili K. B. 2020, *Advances in Space Research*, Volume 65, Issue 4, p. 1321-1331.

Tsinamdzgvrishvili T; Chargeishvili B.B.; Shergelashvili B.M.; Mghebri-shvili I., 2021, Accepted in *Monthly Notices*.

Maghradze D.A.; Chargeishvili B.B.; Japaridze D.R.; Oghrapishvili N.B.; Chargeishvili K.B., 2021, Submitted to *Monthly Notices*.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა სამოცდაშვიდეტი გამოცემისათვის .....	3
წლის დროების დასაწყისი .....	4
ზოგიერთი ქალაქის გეოგრაფიული კოორდინატები .....	4
ტაბელა-კალენდარი 2022 წ. ....	5
ასტრონომიული ნიშნები და აღნიშვნები .....	6
ბერძნული ანბანი .....	7
როგორ ვისარგებლოთ კალენდრით .....	7

### ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი ნ ა ნ ი ლ ი

მზის ეფემერიდები, მზის ამოსვლა-ჩასვლისა და ზედა კულმინაციის მომენტები .....	22
მთვარის ამოსვლა-ჩასვლის მომენტები .....	46
მთვარის ფაზები .....	50
პაჟაკა პლანეტების ხილვადობა .....	51
პაჟაკა პლანეტების ეფემერიდები. მათი ამოსვლა-ჩასვლისა და ზედა კულმინაციის მომენტები .....	58
სამთქალაქო და ასტრონომიული ბინდი და დღის ხანგრძლივობა .....	68
მზის დაბნელებანი 2022 წელს .....	70
მთვარის დაბნელებანი 2022 წელს .....	71
შესანიშნავი მეთოდური ნაკადები .....	72
ვარსკვლავთა საშუალო მდებარეობანი .....	73
ცვალებადი ვარსკვლავები .....	77
მონაცემები გრძელპერიოდის ცვალებად ვარსკვლავებზე დაკვირვებისათვის .....	77
მონაცემები ბნელელებადი-ცვალებადი ვარსკვლავის პერსეუსის β-ს დაკვირვებისათვის .....	78
ზოგიერთი თანავარსკვლავედის მდებარეობა ცაზე სხვადასხვა თვეში .....	81

### მ უ დ მ ი ვ ი ნ ა ნ ი ლ ი

რეფრაქცია .....	83
რეფრაქციის შესწორება ტემპერატურასა და ბარომეტრულ წნევაზე .....	84
ცნობები რამდენიმე უკავთაშენი ვარსკვლავის შესახებ .....	85
ცნობები რამდენიმე უახლოესი ვარსკვლავის შესახებ .....	86
ორჯერადი ვარსკვლავები კომპონენტებს შორის გვეთვრად ბანსეგავებული ფორებით .....	86
ორჯერადი ვარსკვლავები .....	87
ღია და სფერული გროვები .....	88
ბნელი, დიფუზური და კლანთახის ნისლეულები .....	89

გალაქტიკები .....	90
ცნობები ულანეთებზე .....	91
ცნობები ულანეთათა თანამგზავრებზე .....	92
ცნობები დელაგინაზე, მგაზე, მთვარეზე .....	96
ზოგიერთი მნიშვნელოვანი სიდიდე .....	98
ფიზიკური მუდმივები .....	98
სიგრძისა და მანძილის ერთეულები .....	99
მათემატიკური სიდიდეები .....	99
თანაკვარსკვლავების სახელწოდებანი და აღნიშვნები .....	100
საშუალო დროის შუალედის ვარსკვლავიერ დროში გადასაყვანი ცხრილი .....	102
ვარსკვლავიერი დროის შუალედის საშუალო დროში გადასაყვანი ცხრილი .....	103
რკალის გრადუსებისა და მინუტების დროის საათებსა და წუთებში გადასაყვანი ცხრილი .....	104

#### დ ა შ ა ტ ე ბ ა ნ ი

სამყაროს შექმნა ღრმავდება (ახალ აღმოჩენათა კვლადაკვალ)

1. შავი ხვრელების შესწავლა ძლიერდება

2. მსოფლიოს უდიდესმა რადიოთელუესკოებმა არსებობა შეწყვიტა

შ. საბაშვილი..... 105

ცვალებადი მზა

ბიძინა ჩარბიშვილი.....125



თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 598 86 83 86

[stamba.damani@gmail.com](mailto:stamba.damani@gmail.com)

📘 სტამბა დამანი / Print House Damani